

ମହା କନ୍ଦମୁଖ

ଧର୍ମ ଶାଖାଧୀ  
ପାତ୍ରମଣୀ  
ହାତିଲିପାତ୍ର



ମହା ମନ୍ଦିର

ପ୍ରକାଶକ  
ପ୍ରତିଷ୍ଠାନ  
ହାନିରୀଧନ

୩୦୮୬୦ ମେଗାର୍ଡ

ରୁପେୟାଳୀ ପିରପେୟାଳୀ

ଭାରତଜୀବ ଭାରତପାତ୍ର

ପ୍ରକାଶକ ସଂପଦ

**ESTE LIBRO**

SE TERMINÓ DE IMPRIMIR EL DÍA  
VEINTE Y NUEVE DE AGOSTO DEL  
AÑO MIL NOVECIENTOS CINCUEN-  
TA Y UNO, EN LA IMPRENTA  
“LA VOZ”, C. DEFENSA 828, BS. AS.  
**ARGENTINA**

Queda hecho el deposito que marca la ley

Impreso en la Argentina - Printed in Argentine

## შ ა რ თ ვ ე ლ ი შ ა ლ ი

ქართველი ქალის მდგომარეობა ოჯახში და საზოგადოებაში დიდათ განსხვავდება ყველა სხვა ერის ქალის მდგომარეობიდან. მისი როლი მისი სახელი, მისცამი პატივისცემა მამაკაცებისაგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ამ საკითხის შესწავლა, გაშუქება და გამორკვევა დიდი ხანია დღის წესრი იგში დგას. მაგრამ მას არავინ ყურადღებას არ აქცივს. არც ერთ ისტორიკოსს და წარსულის მკელევარს ის თავის მუშაობის საგნათ არ გაუხდია, ის არ შეუსწავლია. არის მხოლოდ ერთად - ერთი გამონაკლისი, ერთი პიროვნება, რომელიც ამ საგანჩე მუშაობს. ეს არის თამარ პაპავასი, რომელმაც ამ საკითხს უძლენა ერთი დიდი წიგნი ამ სათაურით: „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ და ახლა მას უმატებს მეორეს.

ამ ნაწერებში ნათლათ დახატულია ქართველი ქალის პოლიტიკური სახეობა, მისი მუშაობა საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვიში, ერეკლე მეფესთან დადებული ხელშეკრულება რუსეთის მეფეთა მიერ და შემდევ მათ მიერვე მისი დარღვევაც. ამ ნიადაგზე ბრძოლის გაჩალებას საქართველოს დამოუკიდებლობის და-



ცვისათვის მეთაურობენ ქართველი ქალები. ისინი იჩენენ ზედ ენერგიას, შეუძრეკელობას და ხასიათის სიმაგრეს.

დარეჯან დედოფალი, ძალით რუსეთში გადასახლებული, ეკავშირება სპარსეთში გაქცეულ შვილებს და მათთან ერთად სხვა მებრძოლთ შიკრიკების საშუალებ-თ. ამათ დასაცელათ იგონებს ერთ შესანიშნავ ხერხს: მათ აძლევს მოკითხვის წერილებს, ხოლო პოლიტიკურ დავალებებს უთველის შეკრიკით, ზეპირი გადაცემით. ეს გამოგონებული საღიზუმოვება სჭრის დიდებულათ კავშირის საქმეს. კურიერს გზაში შინჯავენ, წერილებს კითხულობენ და უშვებენ.

მარიამ დედოფალი ღენერალ ლაზარევს, მის ბინაშე შექმნილია, მის დასკერათ და გადასახლებლათ, უბასუხებს ხანჯალით, კლიეს რუსის ჯარის მეთაურს.

საერთოთ, სახელმწიფოს მეთაურებათ ქალები გა-  
მოდიან, კაცებზე უფრო უშიშარი და ღრძოშის დამც-  
ველი. ქალბ. თამარ პაბავას შიგნები საცხა ასეთი ის-  
ტორიული მასალებით. ახლა საჭიროა მიეკუთხ ყურად-  
ება ჩვეულებრივი ქალების მოქმედებას, მათ საქმიანო-  
ბას ოჯახში და საზოგადოებაში. იმით დასრულდება გა-  
მორკვევა ქართველი ქალის განსაკუთრებითი თვალებე-  
ბის და მდგომარეობის მოთვლიობში.

6. ქორდანია  
ივლისი 1951.

ବୁନ୍ଦାଳୀ ପରିଷଦ୍ କମିଟି

საქართველოს სამეცნის არსებობის უკანასკნელ  
წლებში — მისი იყვავებისა და დაცუმის ხანაში —, ერეკ-  
ლე მეფის მიერ მაღლა ამართული დროშა საქართველოს  
ლიტერატურისა, მის უახლოეს მეცნიერებისა და მრჩეველს, მის მე-  
ულებს დარეკანისაც ხელთ ეჭირა...

ეს ქალი, ერევლეს მესამე მეუღლე, ასული სამეგრელოს მთავრის გორგი დადიანისა, მრავალ ღირსებათა დატარებელი იყო; მისი მახვილი ჰკუა, საოცარი სიღინჯი და დარბაისლობა არა მარტო დიდებულ მეფეს ხიბლავდა.

გავისხსებოთ დარეჯანის დაქორწინების ამბები, ასე მომხიბლავიდ აღწერილი ჩვენს მატიანეში. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ მეფე ერეკლე დარეჯანს პირველად სურამში შეახვეზრეს და ის მოხიბლულ იქმნა მისი მშენებელით. „წარავლინებული იმერეთად ჩარიაშან ბატონიშვილი და თან აახლეს ნინო-წმინდელი, სხდა ეპატკომისი და ითხოვეს ქალი დაითანისა დარეჯან, შეფის ერეკლესათვის: წამოიყვანეს სახლით მეფისა ალექსანდრესით და მიიყვანეს სურამს: ქალაქიდან წაბრძანდა ნაფე ერეკლე, თან გამჟყვა პატრიარქი ანტონი ბატონი-

შვილი, მიბრძანდენ სურამს, ნახა ქალი მეფემ, დიდად მოწონა შვენიერება მისი და წამოიყვანეს ლხინ-მრავლო-ით და ჩაიცარმანდენ „ქალაქს“. აქედან ირკვევა, რომ დარეჯანი ამ დროს იმერეთის სამეფო კარზე იმყოფებო-და ალექსანდრე მეხუთესთან. ამის შემდეგ აღწერილია ის დიდებული ზეიმი, რომელიც პატარა კახს თვისმა ლირ-სეულმა მამამ, თეიმურაზმა, თბილისში ახლად აგებულ ასახლეშ, გაუმართა. „მზა ცქმნა რიგი ქორწილისა“, განაგრძობს მემატიანე, „მეფეს თეიმურაზს ცხებულს და შეიქმნა ქორწილი და სახლსა ხალსა, რომელი აღეგო მეფეს თეიმურაზს მტკვრის პირს შვენიერი და შემკული კოვლით კერძო: იყო შვეიდს დღეს და ღამეს შვება განც-ტრომა უზომო, რომ ერთი იმის-თანა სრხარული არ გვე-ნა: დაპატიჟებულნი იყვნენ განჯის ხანი, ერევნისა და ჰავა - ჩალაპის ძმებშული. მოვაიდენ, მოართვეს მოსარ-თმევი, ხელმწიფეთა საკადრი, და მცირეთა ხანთა აღხინ-ტავლებს; უბრიძეს მეფეთა ჩვენთაც საფერად თვისათ, დაითხოვნეს, წარველენ ისევ ქვეყანათა თვისთა; იყვნენ მეფენი ჩვენნი მარალის სიხარულსა და განცხრომასა ში-ნა: მას უამს გაერთნებ ქართლი და კახეთი, იურვიდენ საქმეთა ორისავ ქვეყნისას ერთად, ვითარ მამა - შვილნი იყვნენ მეფენი ჩვენნი, სახელმწიფონიც გაერთნებს, დაად-გრა მცფემ ერეკლემ დედოფალი დარეჯან სახლსა მამისა იცისისას“ (ხელით „ქართლის ცხოვრება“, „ცხოვრება ქვეთა“, გვ. 181). მ. ბროსეს მოწმობით, (ტ. 2. გვ. 547) ეს ჯვრის წერა უნდა მომხდარიყო 1750 წელს, როცა და-რეჯანი დაახლოებით 15 წლისა უნდა ყოფილიყო. ამ-ტრებად, დარეჯანის დაბადება უნდა უახლოვდებოდეს 1735 წელს; ხოლო დედოფლის დაბადების დღე ჩვენთვის ძუსტად შეუნახაეს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ნაპოვნ ერთ-ერთ ხელთნაწერს, სადაც ვკითხულობთ, რომ „და-რეჯან დედოფლის შობის დღეა ივლისს 5“. ამნაირად, დარეჯან დედოფლის დაბადების თარიღად უნდა მივი-ოოთ 20 ივლის 1735 წელი. დარეჯან დედოფალმა აჩუ-

ქა ბეჭედ ცრეპლებ 8 ვაჟი და 6 ასული. ამათ სახელოვანი ღურულები ჩასწერეს ბაგრატიონთა მატეანეს უკანასკნელ თავში.

დარეჯანის შვილის-შვილს, ისტორიკოს ალექსანდრე ორბელიანს (თეკლა ბატონიშვილის ვაჟს) მრავალი მა-



ბეჭედ ცრეპლებ მეორე, პატარა კახი

სალა დაუტვებია ჩევნთვის, რომელიც ამ დედოფლის დაძღვისლობაზე, სიწმინდეზე და მხნეობაზეგამჭრიახობაზე მეტყველებს. ეხლა მაინც დროა ამ დედოფლის ლვაწლი და დამსახურება ლირსეულად დავაფასოთ და ის ჩრდილი, რომელიც მას ჯერ რუსეთის ოფიციალურმა წყაროებმა და ამის ნიადაგზე რუსთა ისტორიკონებმა მიაყენეს, საბოლოოდ განვაშოროთ ამ შესანიშნავ ქართველ ქალს... რუსთა წყაროების მისდამი ასეთი მიკერძოებული მიღომა მხოლოდ იმით აისხნება, რომ ეს დედოფლი თავიდანვე მტრულად უყურებდა ერეკლეს რუსეთისან დაახლოვებას... თუმცა ჯერ 1783 წლის ტრაქტატი ჩესახული არ იყო, მაგრამ მეფეს გულში უკვე აღრე გარდა წყვიტა „ბედი ქართლისა“. და მისი განზრახვა დარეჯანზე უფრო ადრე აბა ვის უნდა ცოდნოდა? და სასახლეშივე, სადაც ერეკლეს ხელმძღვანელობით იწერებოდა ას საფუძვლები, რაიცა რუსეთ-აქართველოს ხელშეკრულებას უნდა დადებოდა, ან სასახლეშივე და ამავ დროს გამოიასკვა მიორე მიმართულება, რომელიც წინა-ცუდგა დიდებულ მეფის ზრახვებს.

ეს იყო პირველი, უთანხმოების მიზეზი მეფისა და დედოფლის შორის.

ერეკლეს მიერ რუსეთისაკენ გადადგმულ ნაბიჯის წემდეგ იწყება დედოფალ დარეჯანის უშუალოდ ჩარევა სამეფო საქმეებში, რაც დროთა ვითარებაში ძლიერდებოდა და უფრო აქტიური ხდებოდა.

დედოფლის ასეთმა განდგომამ რუსეთისაგან, პეტრიბურგის მრავალმა ღალატმა გამოიწვია.

პირველად რუსეთის დიპლომატიის ნამდვილი სახე დედოფალმა 1770 წ. დაინახა, როდესაც ასპინძის ბრძოლის წინ რუსეთის ჯარმა მეფე ღალატით მარტო დასტოვა თურქთა უამრავ ძალების წინაშე. ამას თან მოჰყვა აქნერალ ტოტლებენის ტლანქი და უხეში ფანდები დიდებულ მეფის გადასაყენებლად; და დაბოლოს, კველა ამ ამბავთა გვირგვინი შეიქმნა 1774 წ. ქუჩუქ - ქაინაჯის

ზევით საქართველოს გაცემა იმ დიდი და რაინდული და-  
ხსრებისათვის, ერეკლემ და სოლომონ მეფემ ეკატერი-  
ნას რომ გაუწიეს; არც ამით დამთავრებულა ეკატერინა მე  
რის აგენტების ინტრიგები: სწორედ ორი წლის შემდეგ,  
1776 წელს ზევიადმა ზალ ორბელიანმა დიდი შეთქმუ-  
ლება მოაწყო ერეკლე მეფის ტახტიდან ჩამოსაცდებად;  
ამ შეთქმულების სულის ჩამდგმელი რუსის აგენტი ბაკუ-  
ნინი გამოდგა. ამას კიდევ ზედ დაერთო დიდი პოლიტი-  
კური ინტრიგა, რასაც მრავალ წელთა მანძილზე ეწეო-  
და ბატონიშვილი ალექსანდრე ბაქარის ძე; მისი მიზანი  
იყო ერეკლეს გადაყენება და ტახტზე კვლავად ქართლის  
ჰეგრატიონთა აყვანა. მისი მოღალატური ქსელები სპარ-  
ს, თიდან დალესტანამდე გაბმული იყო და აქედან ახალ-  
ცხის საფაშოს და ბოლოს თვით სოლომონ პირველის  
სმეფოს აღწევდა. და ამ დიდი ინტრიგის სათავე ისევ  
რუსეთიდან მოღიოდა. ალექსანდრე ბაქარის ძეს რუსეთი  
ჯულიანებდა საქართველოს სამეფოს დაუძლურების და  
ძალზე ადვილად გაბატონების მიზნით.

აი, ამ ღალატთა ჯაჭვმა აუხილეს თვალები დარე-  
ჯან დედოფალს და მას რუსეთის „დახმარება - მფარვე-  
ლობის“ არა რა სწამდა. რუსეთის ნამდვილი ზრახვა მის-  
ცის დაფარული აღარ იყო; და თუ საქართველოს გა-  
დატჩენია სწადდა, მეფეს რუსული გზა და იმედები ეხლავ  
წინდა დაეგდო.. ამ ცდების დროს დედოფალ დარეჯანს  
ზურგს უმაგრებდა ბრძენი კანცლერი სოლომონ ლეონი-  
ძეც. ის აშკარა მოწინააღმდეგე შეიქმნა მეფისა რუსულ  
ორ იენტაციის საკითხში. აქ არა მარტო ერეკლეს ვაუქები  
და ქალები, არამედ მრავალი სახელოვანი და გავლენი-  
ანი პირები მოემხრენ დედოფალს და მის კანცლერს.  
აშრიგად, მეფის სასახლეშივე გაჩნდა პირველი ანტირუ-  
სული მოძრაობა და ერეკლეს და რუსეთის გეგმებს დი-  
დად გაურთულა საფალი გზა.

იმ დროის მოწინავე ქართველი ქალები, რომელთა  
წარმომადგენელი მგოსან ნ. ბარათაშვილის სოფიო ლე-

ონიძის სახით არის გაცოცხლებული, დარეჯანს „ღირსეულ დედოფლადა“ სთვლიან და ფხიზელი პოლიტიკური ადლო მათ ამ დედოფლის და ს. ლეონიძის მხარეზე დგომას უკარნახებდა. ერეკლეს რევენისა და მისი რუსეთისაკენ გახრის გამო, სოფიო ლეონიძისა ქმარს შესჩივლებდა:

რად დაგვრჩნია სხვებზედა ოვალი,

როცა მეფეცა და დედოფლალი

გვყვანან კეთილნი და ღირსეულნი

დედოფლის ამ პოზიციის გამო რუსეთის ყველა ემისტები, მოგზაურები და მოხელენი დარეჯანს, როგორც იმპერიის მტერს უცქეროზნენ და მის დაფასებაში მიკერძოებას და ტენდენციას იჩენდნენ.

დარეჯან დედოფალი და მისი მომხრენი ბოლოს მარც ვერას გახდნენ და ერეკლემ დიდ გამარჯვებად ჩასთვალა ის მოვლენა, რომ ჩრდილოეთის იმპერიამ საქართველო მოკავშირედ სცნო და ვით სუვერენის, პირობა შესკრა და მფარველობის მოვალეობანი იყისრა... და მეფის რწმუნებულებმა, გ. ჭავჭავაძემ და იოანე ბაგრატიონმა ქ. გეორგიევსკში 1783 წ. 24 ივნისს ცნობილ ტრაქტატს ხელი მოაწერეს.

ამ რიგად, 10 წლის ლოდინისა და სამზადისის შემდეგ მეფემ თავის წადილს გვირვენი დაადგა და სისხლი-აგან დაცლილი ქვეყანა თითქოს მოსვენებას უნდა მისურმდა, ეკონომიკურად უნდა გაღონერებულიყო და ამ შირეული გზით მაინც, ევროპის კულტურასთან გაწყვეტილი კავშირი აღედგინა.

ყველაზე სანუკევარი ოცნება მეფისა, — სამცხე-საათაბაგოს კვლავ შემომტკიცება — ეხლა, ამ ტრაქტატის შემდეგ, რუსთა ჯარის დახმარებით უნდა განხორციელებულიყო. ასე სჯიდა ერეკლე.

მაგრამ რუსეთის იმპერიის სულ სხვა გეგმები ჰქონდა და აქ უფრო დაპირებები უნდა ყოფილიყო, ვიდრე მათი ასრულება. ტრაქტატს მარტო მაშან უნდა

პეტრონელა ძალა, როცა რუსეთს ან პორტუგალიან ან ირან-თან საომარი მოქმედება ეწყებოდა; აქ ერეკლეს და-ხმარება საჭირო იყო...

მაგრამ ზავის დროს, „მფარველობის არტიკულები“ ამ ტრაქტატისა რუსეთს ერთხაშად ავრცელებოდა. საქართველო მხოლოდ იხარჯებოდა და უკანასკნელ



დარეჯან დელოფალი  
(1735 — 1807)

გარეგიდან იცლებოდა. ამ საფრთხეს დარეჯანი თავი-დანვე ხედავდა და ის ეჭვები, რაც ბრძენმა კანცლერი-თა ოპოზიციის სახელით მეფეს გადაუშალა, ეხლა მო-კარგით გამართლებულიყვნენ. ილიუზიები სამეფოს დასვენებისა დაიმსხვრა და უძლური საქართველო ეხ-ლა პირისპირ დარჩა სპარსეთ-ოსმალეთისა; სამაჰმადი-ენი შეზობლები სასტიკად უხდიდნენ ერეკლეს, და რუსეთისათვის დარიალის კარების გაღებას უდიდეს ლალატად უთვლიდნენ.. ამის გამო ან თვითონ ესხმო-დნენ თავს ქართლ-კახეთს, ან ლეკების გააფრიებულ დიდ რაზმებს უსევდნენ.

უკვე 1784 წ. (ერთი წლის შემდეგ ტრაქტატის დადებისა) გაახშირეს ლეკებმა სოლეიმან ფაშის დახ-არებით ქართლ-კახეთის რბევა და აწიოკება; ხოლო 1785 წლის შემდეგ სპარსეთის მაცი წაქეზებულმა ომარ ხანმა ავარიისამ 20.000 მხედრობით კახეთში შევრა მოახერხა და ქვეყანა საშინელ წამებასა და ოთხრებას მისცა. რუსეთმა ისიც ვერ მოაგვარა, რომ ლეკითა ამ სისტემატიურ მიხტომა - აწიოკებიდან სამეფო დაეფა-რა. ხოლოს მეფე ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ რძელებული გახდა ლეკითა ურდოების ბელადთან მო-ლაპარაკება. გაემართა და ომარ-ხანთან ხარჯის გადახ-დის პირობა შეექრა.

მაგრამ ყველაზე უფრო დიდი ტკივილი მეფეს მი-იყენა ეკატერინას განკარგულებამ, რომლითაც რუსე-თის ჯარი გვნერალ ბურნაშვილის მეთაურობით (ერეკ-ლექთან ერთად მაჰმადიან მეზობლებთან რომ ლაშქრო-ბდა), უცებ უკან გაიწვია. რუსის ჯარმა საქართველო მიატოვა, მიუხედავად მეფე ერეკლეს თხოვნისა, დაე-ჯადა ამ ჯარს, თუნდაც რამდენიმე კვირით დაწყებულ ოპერაციის დამთავრებამდე. ეს ღალატი მოხდა 4 წლის შემდვომ „ტრაქტატის“ დადებისა.

იმ, ყველა ამას თითოეს წინაპურა ხედავდა და-რეჯან დედოფალი და აფრთხილებდა მეფეს — ისედაც

დაუძლურებული ქვეყანა, ჩრდილოეთიდან დარიალის კარების გახსნით, კიდევ უფრო არ დაეუძლურებინა.

მაგრამ მეცე არც დარეჯანის ჸაყვცდურებს და ოც ბრძენ კანცლერის გაფრთხილებას ყურს არ ათხოებდა. იცოდა ერეკლემ, რომ რუსეთის ბრძოლას სამსრეთისაკენ ისმალეთ - ირანი და ლექების ურდიობი ვეღარ შეაჩერებდნენ. მა ახალ ძალასთან შეგუება იყო ცროად ერთი გზა საქართველოს გადასარჩენად.

ვერ იქმნა, მეფის სიმტკიცე ვერც რუსეთის დალარში და ვერც იპოზიციის მაგარმა იერიშებმა ვერ გასტეხს... და მეცემ იპოზიცია დაამარცხა — მისი გავლენიანი წევრები, რომელთაც დიდად აფასებდა, საქმეს ჩამოაშორა.. დიდის გულის ტკივილით გადააყენა მეცემს სარდალი და სახლთუხუცესი დაც-თ ოჩბელიანი, მაგრამ უფრო მძიმე უნდა ყოფილიყო ერეკლესათვის ბრძენ სოლომონ ლეონიძის ჸამეცო საქმეებიდან ჩამოორება (1793 წ.).

მაგრამ დიდმა სიყვარულმა დარეჯან დედოფლი-სადმი ბოლოს მაინც ვაიმარჯვა და ეს ქალი სამეფოს მართვა-გამგეობის საქმესთან ძველებურად ახლოს დარჩა.

ბოლოს დედოფალმა აშკარად დაინახა, რომ მეფის მიერ 1783 წ. გადადგმული ნაბაჯი უცვლელი და საბოლოო იყო და, მიუხედავად ამდენი ხნის ცდისა, საქართველოს სიყვარულმა და დედოფლის მოვალეობამ იგი ერეკლეს გვერდით დააყენა.

იმ ხანებში დარეჯანის გავლენა მეტად ძლიერი უნდა ყოფილიყო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ დედოფალი საქართველოს სამეფო საქმეებში მართლაც რომ აქტიურ მონაწილეობას იღებდა. იმ დროის ისტორიკოსები გვაუწყებენ, — „დედოფალმა დარეჯანმა სამეფო საქმეებში ჩარევა დაიწყო

ჯერ კიდევ 1780 წ., ხოლო 1792 წლიდან თითქმის და-  
ბოუებდღიური მართავდა საქართველოს “-ო” (ბუტკო-  
ვი, 2. გვ. 336).

აქედან ხედავთ, დარეჯანმა ერეკლეს საწინააღმ-  
დებოდ აპოზიცია განშირულად ჩასთვალა და მხოლვან  
ძეფეს ერთგულად გვერდით ამოუდგა. მას უნდოდა სა-  
ქართველო და ერეკლე მტკიცედ ყოფილიყვნენ დიდ  
ცოპირდაპირის წინაშე და „ტრაქტატით“ ის მიელოთ,  
რისი მიღება მაინც შესაძლებელი იყო; თუმცა დიდე-  
ბულ მეფის 1783 წ. ნაბიჯს დედოფალი სახიფათოდ  
და მომაკვდინებლად სთვლიდა, მაგრამ ვიდრე ერეკლეს  
საქართველო იდგა, რუსეთი კიდევ ვერ შესძლებდა ვე-  
ლაგულ გვემის გატარებას: — სამეფოს მოსპობას. მაგ-  
რამ შემდეგ?... ვის უნდა დაეკავებინა ამ უძლიერესი  
პროვენების ადგილი? ვინ იყო მისი მემკვიდრე? ვიორ-  
გი ბატონიშვილი: სულტანი ნების და მერკევი ხასიათის:  
ამ ავადმყოფს, განუკურნებელი სწერულებით პყრობილს,  
განა შეეძლო რუსულ დაპლომატიის მოწოდას განმკლა-  
ცხოდა? ჯერ თვით ერეკლეს დროს რა გადაულახავი  
ომნელები იდგა პატარა სამეფოს წინ... მის წაქცევას  
აუ მოუთმენლად ელოდნენ სპარსეთი, ოსმალეთი, ლე-  
კუბი და ეხლა უდიდესი რუსეთი. ამის ატანას და სა-  
მეფოს ნავის გამონაპირებას მხოლოდ ერეკლეს სიბრძ-  
ნი და მკლავი თუ შესძლებდა! გიორგი კი ანარეკლიც  
ა იყო ამ კაცისა და სამეფო პალატი მის ხელში უეჭ-  
ვედ უნდა დაქცეულიყო. აი, რა აფაქრებდა დედოფალს  
დღე და ღამ. მაგრამ ეხლა, როცა სპარსეთის ყაჯარი  
გაძლიერდა, ძველ ირანის თავები გვირგვინის ქვეშ კვლავ  
თავი მოუყარა, დიდის ძალებით საქართველოს უახლო-  
კდებოდა; ეხლა კრიტიკისა და საყვედურების დრო არ  
ჰყო; ყველანი უნდა ერეკლეს გვერდით ამოსდგომოდენ  
და სამეფო დიდ ხიფათიდან გადაერჩინათ...

და დარეჯან დედოფალი თავის მხრივაც მოსვე-

ნებაა არ აძლევდა რუსეთს და ავონებდა მისს მოვალეობას, „ტრაქტატით“ რომ თავს ედო. დედოფალი რუსეთს სამეფოს უმწეო მდგომარეობას აუშერდა და სასწრაფოდ ჯარს და დახმარებას ითხოვდა. სწორედ ორიოდე თვის წინ აღა-მამალ-ხანის შემოჭრისა, დარეჯანი ეკატერინა მეორეს სწერდა — „დამჭირნეობა ესოდენთა ქრისტიანეთა მაიძულებს მე ვეღრებით უდიდედისა რევენისადმი, რათამცა ალთქმისამებრ ყოვლად უმოწყალესისა ტრაქტატისა ინგბოთ შეწევნა ჩვენი აღა-მამალ-ხანის ზედა,, რომელიცა მახლობელად ჩვენდა მდგომარე არს არმითა, თვისითა და ცდილობს დაპრობას ქვეყნისა ჩვენისასა, რომლისათვისაც ცრემლით გვვედრები უდიდებულესო ხელმწიფეო. შეიწყალეთ ესოდენი ქრისტიანენი ბრძანებითა ან-შეფის ლუდოვიჩისათა, რათა მოგვცეს შეწევნა უძლეველთა მხედრობითა, რომლითა ხსნილნი მტრისაგან მადლობელნი დავშთებით. ივნისის 6, 1795 წ.“ (იხილეთ პროფ. ცაგარელის „ლრა-ტები“, 2. გვ. 119).

დღეს უკვე ცნობილია რომ რუსეთის დიპლომატიის ცერაგულ ზრახეა ატარებდა, რათა საქართველო აღა-მამალ-ხანის შემოჭრით უფრო მეტად დასუსტებულიცო. ეს გეგმა დედოფალ დარეჯანის ფხიზელ გონებას კრ გამოპარვია: მან კარგად იცოდა, რომ ჩრდილო კავკასიში მდგარი რუსის ჯარი ჯერ მაინც იქედან საშველ ად ფეხს არ მოიცვლიდა. მაგრამ ვინ იყო ამ დროს სევა დამხმარე? არავნ. და დედოფალმა სუადა ეკატერინესათვის, ვითომდა როგორც „ქრისტიანთა მებიონისათვის“ კვლავ მიემართა... მაგრამ ამაოდ! ვერც „ტრაქტატის“ და ვერც ქრისტიანობის ძალამ ვერ გასჭა.

ამნაირად, საქართველოს უძედურება ვერ ასცდა, ცმეფოს თავზე საშინელმა ქარიშხალმა გადაუარა.

1795 წლის სექტემბერში გლოვის ზარები დარეკას: ქართველოს გაუკაცრიელებულს და ფერფლად ქცეულს დედა - ქალაქში. რუსის ჯარი ლუდოვიჩმა ერეკ-

კუს არ მოაშეველა, რადგან თავის მრავალ რჩევა - მი-  
ძართვებზე პეტერბურგიდან მას საამისო თანხმობა არ  
ითუვებდა. და დარეჯანმა თბილისი ისე დასტოვა, რომ  
იცნ ვერაფრის წალება ვერ მოასწრო, ხოლო ერეკლე,  
ისანე ბატონიშვილმა და ერთგულმა მხედრებმა მტერს  
ტელიდან ძლიერ გამოჰვლიჯეს და ქალაქიდან გაიყვანეს.

დედოფალი დარეჯანი 10 ენკენისთვეს გამოსულა  
ლყა შემორტყმულ ქალაქიდან, თან რამოდენიმე ერთ-  
გული ხლებიან... სამეფოს ამ უდიდეს განსაცდელის  
დროს ის ანანურს წასულა იმ მიზნით, რომ იქედან გუ-  
ლოვებისათვის შიკრიკი ეფრინა კავკასიის ხაზზე საგან-  
გზმო წერილით, რათა ჯარი რუსეთისა ერეკლეს საშვე-  
ლად ეხლავ „ლინიიდან“ დაძრულიყო. იქნება მეფეს  
და დევ მოეხერხებინა ცოტა ხნით თბილისში გამაგრება  
და თუ აღა-მაჰმად-ხან შეიტყობდა, რომ რუსის ჯარი  
იართლაც მოდიოდა, უეჭველია, რუსეთთან ომს მოერი-  
ცა ბორა და პირს უკან იბრუნებდა... ასე ფიქრობდა დე-  
დოფალი და მლელვარე გულის ძეგრით პასუხს ელოდა.  
განერალი გულოვიჩი ამ ამბებს შემდევნაირად გადასცემ-  
და პეტერბურგს: — „ჩემი მრავალი უმაღლესი მოხსე-  
ნებათა შემდეგ, შესახებ აღა-მაჰმად-ხანის მოსალოდნელ  
ა. ვდა: ხმისა საქართველოზე, უქვე შევრდომილესად გა-  
უწყებთ, რომ გუშინ ქართლ-კახეთის დედოფალმა დარია  
ცორგის ასულმა გამომიგზავნა საგანგებო შიკრიკით  
წერილი, რომლითაც მაცნობებს, რომ აღა-მაჰმად-ხანის  
ჯარებმა 10 სექტემბერს თბილისს ალყა შემოარტყეს,  
ს. იდანაც დედოფალი მხლებლებით გამოვიდა ანანურს  
(ეს ვერსი თბილისიდან) მოზღვის გზის მიმართულე-  
ბრთ და მაუწყებს, რომ შეფე ერეკლე იმერეთის მეფეს-  
თან ერთად ჯარებით თბილისთან სდგანან და საომრად  
კრიადებიან. დედოფალი სთვლის ალყა-შემოარტყებულ  
თბილისს უსაშინელეს გასაჭიროში და დაჯინებით ხელ-  
ახლად მოხოვს დახმარებას რუსული ჯარებით. მე კი  
ცხაიდან უფლება არა მაქვს უმაღლესის ბრძანების გა-

ჩემე ჯარების გაგზავნისა, გაუწყებთ ამ თხოვნას დე-  
დოფლისას თქვენს იმპერატ. უზენაესობას განსახალ-  
ველად"-ო (გრამოტი, 2. გვ. 108).

ეს თხოვნა პეტერბურგის ს. ბჭომ მხოლოდ 18—10  
გაარჩია, როცა თბილისის ტრალედია დიდი ხნით და-  
მულებული იყო; აյ სახელმწიფო საბჭომ გულოვიჩის  
განუმეორა ერთხელ უკვე (6 სექტემბერს) გაგზავნილი  
ისტრუქცია, რომ მას ფრთხილად მოქმედება მართებს,  
რათა არაფრით გააღიზიანოს პორტა ამის გამო რაიმე  
წენაღმდევობა რეას ჯარისა არ უნდა ხდებოდეს ას-  
შალეთის ანლოს მდებარე კუთხებშიო და სხვა. (იქვე,  
გვ. 114). ასე უყურებდა რუსეთი „ტრაქტატით“ ალ-  
შულ მოვალეობას საქართველოს დაცვისათვის ამის  
გამო რომელიმე მეზობელთან მას უთანხმოება არ უნდა  
მოსვლოდა..

ალა-მაჰმად-ხანმა იავარად-ქმნილს საქართველო-  
დან უამრავი ტყვები წაასხა; საქართველო სპარსეთმა  
დაარბია, მაგრამ ერეკლე ვერ გასტეხა; ვერ იქნა და რუ-  
სული ხელი ვერ ააღებინა... ეხლა ალა-მაჰმად-ხანს სე-  
ქტემბრის საშინელებანი საქართველოს მოსასპობად სა-  
კონდ აღირ მიაჩნდა... მას ერეკლე კიდევ უფრო უნდა  
დაესაჯა და ქვეყანა სრულიად ამოვგო... .

აქ დარეჯან დედოფალი ხედავს, რომ საქართვე-  
ლო კვალად უსაშინელეს განსაცდელშია: ერთი შეც-  
დამა კიდევ და ეს უძველესი სამეფო უფსკრულში გარ-  
დაშვება... მაგრამ ისიც იცის, რომ შახთან შერიგება,  
მისთვის რაიმეს დათმობა ეხლა მხოლოდ დამცირებას  
მისცემს სამეფოს, ხოლო საქართველოს სიკედილისაგან  
მაინც ვერ იხსნის.

ამიტომ დედოფალი ეხლა ერეკლესთან და მის ელ-  
ჩებთან ერთად ვედრებისა და გაფრთხილების ხმით რუ-  
სეთის კარს მიმართავს; ის სასწრავო დაბმარებას მოი-  
რთოვს ქართველ ტყვეთა სახსნელად და შაპის ახალ  
რევლასხმის ასაცდენად: — „და განსაცდელისა ამის



ჩა ნზე მიწევნისათვის“, სწერს დედოფალი ეკატერინას, „ესოდენთა ტყვედ მიცემულთა ერთათვის, უზომოსა პულხარებასა შინა მყოფი, წინაშე დიდებულ თქვენისა, ჟილავად მუხლთა ზედა მდგარი, ყოვლად უმდაბლე-სიად გვედრებით: ტყვეთათვის, ჩვილთათვის, მოხუ-ც ბულთ და ჭაბუკთა, რომელთა ტანჯვითა და დაწვითა ეკლესიებითა, გამწარებული გული ჩემი შეიწყალოთ, უ-ვლად უმოწყალესო ხელმწიფევ, რათა მივიღოთ უმო-წყალესი რეზოლუცია თხოვნისა ამის, რომ უი., მე-ფისა ჩვენისაგან მოხსენდების იმპ. თქვენისასა“. და ბოლოს აფრთხილებს დედოფალი დარეჯანი რუსეთს, „ომ „თუ ამავ ზამთარს ღენერალი ღუდოვიჩი არ მოგ-და მოგველა...უთუოდ კიდევ წავხდებით და იყავ ნება ყო-ველსა შინა მოწყალებისა თქვენისა ჩვენდამ“-ო (იბ. „ურამოტები“, 2. გვ. 121).

მართალია, ამის შემდეგ ეკატერინა მეორემ ზუ-ბოვის დიდი ექსპედიცია დაიწყო სპარსეთის წინააღმ-დეგ, და ერეკლეს გენ. კორსაკოვის ჯარი უნდა მიხმა-რებოდა, მაგრამ.. აქაც არ ჰქონდა ბედი საქართველოს: ეკატერინა 7—11 1796 წ. მიიცვალა და პავლე პირ-ველმა რუსების ჯარები უკან გაიყვანა.... საქართველო ისევ ეულად დარჩა და აღა-მაპმად ხანი კვლავ დაიძრა სასიკვდილო განაჩენის აღსასრულებლად.

ზუბოვის ჯარების პავლე პირველის მიერ მოულო-დნელად უკან გაწვევით საქართველო უმწეო ყოფაში ვარდებოდა; ამის გამო დედოფალი დარეჯან ინცია-ტივას ხელში იღებს და რუსეთის ხელმწიფას მარაშ თევდორეს ასულს მიმართავს — გადასინჯოს პეტერ-ბურგმა თავისი დადგენილება და არ დასტოვოს სამე-ფო პირისპირ განრისხებულ ოღა-მაპმად ხანისა. „აწინ-დელ დროსა შინა შეიწროებული მყოფობა ჩვენი კად-ნიერ მყოფს მე, რათა თვით, თავათ ჩემით მოვაჩოთ თქვენს დიდებულებას უმდაბლესი მოხსენება ესე... რა-თა გვექმნათ შემწე და შუამდგომელი წინაშე მათის

იმპ. დიდებ-სა თქვენს საფარველ ქვეშე მყოფთ ქრისტიანეთა ერსა ამას, რომელნიცა მონდობილი მხოლოდ თქვენის საფარველსა აწ უკუ ქცევითა საქართველოით რუსეთის უძლეველ მხედრობისათა მოუთმენელსა მწუხარებასა შინა მყოფნი, მოველით მტერთაგან წარწყმედასა, რომლისათვისცა, უმდაბლესად მთხოვნელი ვასხოებთ განახლებად დამტკიცებასა უმაღლესი საფარველისასა“ და სხვა. („ლრამ. 2, ნაწ. 1. გვ. 133).

დედოფლის ვედრება ეხლაც უშედეგოდ დარჩა, და საქართველო უცილო გაქრობისაგან ამჟამად რუსეთმა კი არ ისნა, არამედ სასწაულმა... მრისხანე შაპი, ვიდრე თბილისისაკენ ჭაიძროდა, შუშაში მოახჩეს. (1797 წლის იქნისის 5-ს).

დედოფალმა ახალ მბყრობელს, პავლე 1-საც მიმართა მსგავსი თხოვნით შეწევნისათვის, თანახმად „ტრაქტატის აღთქმათა“, მაგრამ პავლეს საქართველოს „აქტებში“ კარგად ამოეკითხა იმპერიის განზრახვანი და ნამდვილი მიზანი ტრაქტატისა.

მას ცნობები მოსდიოდა, რომ ერეკლე მეფის დღეები დათვლილი იყო და მისი სიცხიზე სამეფოს დიდის ხნით კიდევ ვეღარ უდარაჯებდა, ხოლო სნეული და სუსტი გიორგი რუსეთს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა.

მართლაც 11 იანვარს 1798 წ. ივერის მზე ჩაესვენა, საქართველოს მოჭირნახულები დაღლილი ხელები დამდგარ გულზე დაიკრიფა... მტერთ ერთბაშად იმედი მიეცათ ეხლა შორით მოვლა და დიპლომატია საჭირო აღარ იყო.

ამ დღიდან იწყება უკვე აშკარად გამოცხადებული ჩარევა რუსეთისა საქართველოს შინაურ ცხოვრებაში, ხოლო არა აშკარად — მისი შეტევა საქართველოს ტახტის წინააღმდევ.

შეიძლებოდა ეს ბრძოლა არც ისე გახანგრძლივებულიყო, რომ დარეჯან დედოფლის მომხრეებს თავისი

მიზნის განხორციელებისათვის მეტი ფხა გამოეჩინათ და დარეჯან დედოფალი ტახტზედ აეყვანათ, \*როგორც განზრახვა ჰქონდათ. მაგრამ გიორგი მეფემ ამ ერთ შემთხვევაში მაინც, მისგან სრულიად მოულოდნელი, სისწრაფე - მამაცობა გამოიჩინა და ვიდრე დარეჯანის პარტია ერეკლეს იგლოვდა და მის ლირსეულ დასაფლავების გეგმებს აწყობდა, გიორგიმ სამეფო ფუნქციები ხელთ აიღო და თავადების დაფიცებას შეუდგა...

საშინელის მწუხარებით მოცულმა დედოფალმა და სოლომონ ლეონიძემ ვერ მოახერხეს ამ დროს საქმაო აქტივობის გამოჩენა; დარეჯანი გართულებას მოერიდა, ისედაც დასუსტებულ სახელმწიფოს ცხოვრებაში და გამარჯვება გიორგის დარია; თუმცა, როგორც ისტორიკონი გადმოგცემს, „უმრავლესობა დედოფალ დარიას გამცეფების მომხრე იყო“-ო. (იხ. ბუტკოვი, ტ. 2. გვ. 443). ეხლა რუსეთს უკვე დიდი ჯარი შეჰვაის საქართველოში და ოწმუნებულ კოვალენსკისაც საგანგებო ინსტრუქციებით გზავნის. ამ ინსტრუქციებში ჩვენთვის ყველაზე უფრო შესანიშნავია ის, რომლის ძალით კოვალენსკის ევალება ადევნოს ფხიზელი თვალყური ქურივ დედოფლის ყოველგვარ მოქმედებას და ცალკე დედოფლის მომხრეებსა. (იხ. ბუტკოვი, ტ. 2. გვერდი 449).

რუსეთის მოხელეებმა ზედმიწევნით შეასრულეს ეს დავალება და ამის შემდეგ დედოფალ დარეჯანს და მრავალებს და ვაჟებს მზვერავნი და ჯაშუშნი არ მოკლებიან...

მალე მდგომარეობა გიორგისა და დარეჯანს შორის რუსის მოხელეთა ცდებმა ფრიად გაამწვავა; გიორგიმ დედოფალს თვისი მამულები ჩამოართვა და თვის მეუღლეს მარიამს გადასცა, ხოლო დარეჯანს ფრიად შემცირებული ულუფა დაუნიშნა. ამ ამბავმა უფრო გაღირმავა უთანხმოება ამ ორ პარტიათა შორის და დედოფალ დარეჯანის მომხრენი და კერძოდ, ბატონიშვი-

ლები: ვახტანგ, იულიონ და ფარნაოზი აჯანყებისაკერძოს აშეარა მზადებას შეუდგნენ; ბატონიშვილი ალექსანდრე განჯით სპარსეთში გაიჭრა და ბაბა-ხანის და აბას-შირზას დახმარებით სცდილობდა დედის პოზიციის გამაგრებას და რუსების შევიწროებას. დარეჯანის გატაცება - გამეფების განზრახვა თითქოს უნდა ალსრულებულიყო და როცა აბას-შირზას ჯარები აზერბაიჯანში შეიჭრენ, სნეული მეფეც შიშმა აიტანა; აშეარა იყო, ალექსანდრე ბატონიშვილის წაქეზებით, სპარსეთი საქართველოსაკენ მიიწევდა და თითქმის ტყვედ ქმნილ დედოფალ დარეჯანის მომხრეებს რუსთა განდევნის იმედი უცოცხლდებოდათ. მეორეს მხრით, დანარჩენმა ბატონიშვილებმა 3.000 კაცი შეჰქრიბეს და დედოფლის გამოსახსნელად თბილისისაკენ გაეშურნენ. მაგრამ გიორგი მეფემ რუსის ჯარის საშუალებით და თვის ერთგულთა რაზმებით, რომელთაც წინ მისი ძე, იოანე ბატონიშვილი მიყდოდა, ეს შემოტევები უკუაქცია. (იხ. ბუტკოვი, ტ. 2. გვ. 453).

დარეჯანმა ფარხმალი მაინც არ დაპყარა... ეხლა საფრთხე არა მარტო მას შეეხებოდა, არამედ მთელ სამეფოს, რომელიც დიდებულ ერეკლეს ასეთის ზრუნვით და მხენებით მრავალი ხიფათისაგან გადაერჩინა. დარეჯანიც ხომ მაშინ მუდამ გვერდით ედგა მეფეს... და ეხლა კველაფერი ეს სუსტს და უძლურ გიორგის ხელიდან ეცლებოდა... და ეცლებოდა ისეთის მოხერხებით, რომ მეფე ველარ ერკვეოდა ამ ხლართებში და რუსეთის ქრისტიანულ ნიღაბს იქით ვერას ხედავდა. მდგრადარეობა ეხლავ უნდა ეხსნათ დარეჯანის, ან მის მარჯვენა ხელის, იულიონს გამეფებით და რუსთა განდევნით. და ერთი დიდი ცდაც კიდევ მოახდინა დედოფლის შთაგონებით ალექსანდრე ბატონიშვილმა, რომლის უკან დარეჯანის შვილისშვილი, იმერეთის მეფე, სოლომონ მეორე იდგა. ალექსანდრე ომარ-ხანის და სხვა ანტა - რუსულ ძალთა დახმარებით კახეთში შეიჭრა და გიორ-

გის და რუსთ ძილი დაუფრთხო. მთელის ძალებით ეჭ-  
ერა რუსის ჯარი თბარ-ხანის და ალექსანდრე ბატო-  
ნიშვილის ჩაზმებს და ნიახურასთან დიდი ბრძოლა გა-  
ჩალდა, და გენერალ ლაზარევმა და გულიაკოვმა იმავ  
ითანე ბატონიშვილის დახმარებით რუსეთს და გიარგის  
7—11—1800 წ. კვლავ გამარჯვება არცუნეს. დედო-  
ფალ დარჯანს ხელახლა გაუცრუვდა იმედები: რუსეთმა  
მკიდრად მოიკიდა ფეხი საქართველოში. ეხლა არც  
პავლებ და არც მის მემკვიდრე ალექსანდრე პირველს  
ჯარის გამოსაზავნად თხოვნები და ვედრებანი აღარ  
სჭიროდათ! ბათალიონებით, ყაზახთა ჩაზმებით და არ-  
ტილერიით გაიცს საქართველო.

საუბედუროდ, დედოფალ დარჯანის იჭვები გადა-  
ჭარბებით გამართლდა. ერცყლეს სიკვდილმა რუსეთის  
ფარულ პოლიტიკას ნიღაბი ახადა და გორგი მეფეს  
სუვერენიტეტის მთავარ ნაწილზე აღვილად ხელი ააღ-  
ბნეს; მომავალავ და უძლურ მეფეს სავსებით ჩამო-  
შორეს დედოფალი დარჯანი და მრჩეველად რუსულ  
— სომხურა დენერალი ლაზარევი მიუჩინეს.

ეხლა ლეკვებისა და გამდგარ ბატონიშვილების ში-  
შით გიორგი მეფე საესებით რუსეთს მიენდო; ის გულ-  
წრფელად ფიქრობდა, რომ სამეფოს ფუნქციების მეტ  
დათმობით რუსეთის მტკიცე მფარველობას მიიღებდა.  
გულისტკივილით ადევნებდნენ თვალყურს დარჯანი  
და მისი მომხრეები მეფის ცდას „საქართველოს მიღე-  
ბისათვის“ მიერ... მათ იკოდნენ, რომ გიორ-  
გის „თხოვნითი პუნქტები“ დიდი ნაბიჯი იყო საქართ-  
ველოს სამეფოს გაუმებისაკენ გადადგმული, და რომ  
მომავალში რუსეთი შემდეგ ნაბიჯს თვითონვე ადვი-  
ლად გადასდგამდა და ამ უძველეს სამეფოს, რუსეთის  
„ლუბერნიად“ აქცივდა. საუბედუროდ, ყველაფერი ასე  
მოხდა..

მცირე გიორგი 28 დეკემბერს 1800 წ. მიიცვალა და  
სამეფოს გადარჩინის იმედებიც თან წაიღო. ეხლა რუ-

სეთი არას ერიდებოდა და სამცფო ტახტის ერთბაშად გაუქმება სწადდა. მეკვიდრე დავითს მხოლოდ „მიახლოების“ უფლება დარჩა ამ ტახტან...

სამეცნის ერთგულთა (სოლომონ ლეონიძის, სარდალ ორბელიანის, ალ. მაყაშვილის და სხვათა) დაუინებითი თხოვნას, რომ სასწრავოდ მეფედ კურთხეულყო, დავითმ ყური არ ათხოვა. იგი კვლავ რუსეთზე იყო მინობილი და იქდან ელოდა დამტკიცებასა და ინვესტიტურება; უფრო მეტიც, მან საჭიროდ დაინახა ეს ერთგული მრჩეველი ლაზარევისათვის ხელში მიეცა. და ლაზარევმა სოლომონ ლეონიძე დააპატიმრა.

მემკვიდრის ეს ილუსტრირები უფრო გააძლიერა ღენ. კნორჩინგის საქართველოში წარმოგზავნამ, რომელსაც ცნობილი კითხვებია: გამორკვევა ჰქონდა ალექსანდრ უპირველისაგან დავალებული: 1. შეუძლია თუ არა საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა და 2. მართლა ყვილას უკრველი თუ იყო რუსეთთან შეერთება?

ზოგი ქართველი კითოლშობილი ამ „რეფერენცუმით“ საქმის მოგებასაც ფიქრობდა და მისთვის პასუხი საეჭვო არ უნდა ყოფილიყო... ორი ათას წელზე მეტი იცხოვრა საქართველომ საკუთარის სახელმწიფოებრივის ცხოვრებით და ამა ვინ იტყოდა, რომ მან ერთბაშად დაკარგა ამისი უნარი? „მართალია“, ამბობდნენ ისინი, „ერეკლე აღარ გვყავს, მაგრამ ქართული მხედრობა და სული ხომ ძველებური დარჩა... ვინ გაბედავს და ეტყვის კნორჩინგს, რომ ყველას სურდეს ჩუსეთის ქვეშვერდომობა და თორმეტ საუკუნეზე მეტ მანილზე სახელოვნად განვლილი ვზა ბაგრატიონთა ჩაქოლილი იქმნასთვის განა ყველა სულმოკლე და ან მოდალატეა?... — ასე მსჯელობდნენ საქართველოს ზოგი მამული შეილები და ასე ფიქრობდა მაშინ დავით ბატონიშვილიც. მაგრამ ასე არ ფიქრობდა დარეჯან დელოფალი, რომელსაც რუსის არც ლიბერალის და არც რეაქციონერის არაფერი სწამდა და იცოდა, რომ კნორ-

რინგის „პასუხი“ ზუბოვ - ორლოვებისა და სახელმწიფოს საბჭოს მიერ წინასწარ იყო პეტერბურგში გამზადებული... და ეს პასუხი ისეთი უნდა ყოფილიყო, რომელიც საქართველოს რუსეთის პროვინციად იქცევდა, ხოლო გენერალ კნორრინგს კი მის მთავარმართებლად.

ამიტომ ამ დაეჭვებულმა დედოფალმა ჯერ კიდევ დროზე გაგზავნა მოხსენება პეტერბურგში, რომელიც 3 ივნისს შეტანილ იქნა სახელმწიფო საბჭოში.

დედოფალი თავის მიმართაში დარბაისრულის ლირსებით ითხოვს მოპირდაპირესაგან ერთხელ დადებულ ხელშეკრულების ასრულებას: ის ხელახლა 1783 წლის ტრაქტატს ეყყარება, თითქოს მის შემდეგ პავლე პირველის შეერთების მანიფესტი არც კი გამოცხადებულიყოს. დარეჯანი ძველის, ერეკლეს საქართველოს ენით ლაპარაკობს და მოითხოვს საქართველოს მთავრობის და მართველობის ჟაკითხი ურყევლად დაეტოვებინათ ტრაქტატის „მტკიცე საფუძვლის თანახმად“. (ცხ. ჭ. ავალიშვილის, „პრისოედინენიე“). ზუბოვის მომხრენი ყალყზედ დადგნენ და სახელმწიფო საბჭოს დედოფალ დარეჯანის მოხსენების განხილვა კნორრინგის დაბრუნებამდე გადაადგინეს. ხოლო 26 — 6 კნორრინგის დასკვნები უკვე გადაეცა ხელმწიფეს, და ჩვენ ვიცით, როგორი იყო ის მოხსენება. მაგრამ კნორრინგმაც კი ვერ იძოვნა იმდენი გამბედაობა, რომ მეორე კითხვაზე გადაჭრით „პო“ ეთქვა და სამეფოს რუსეთთან შეერთების საერთო წადილი კნორრინგის მოხსენებაში ვერ გამოჩნდა. მაგრამ ეს „დაიჭვება“ იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ ამან შექმნილი მდგომარეობა ველარ შეარყია და სახელმწიფო საბჭოს სხდომაშ 8 აგვისტოს 1801 წელს კნორრინგის დასკვნები დაადასტურა და ამით საქართველოს საკითხი უარყოფითად გადასწყვიტა.

ამის შემდეგ დედოფალ დარეჯანის ცნობილი მოხსენება სიმწვავეს ჰქარგავს და ის არქივს გადაეცემა.

რა მოხდა შემდეგ? კნორრინგი მთავარმართებელი გახდა, მაგრამ ვერც მან და ვერც კოვალენსკიმ ვერ შესძლება შვეიცარიათვის. საქართველოს გამედნიერების სურათი დაენახვებინათ... საქართველოს ახალი ყოფა როგორლაც არა ჰგავდა ბედნიერებით დათრობას რუსეთის ძლიერ კალთის ქვეშ. ერთი წელიც კი არ დააცადეს კნორრინგს და კოვალენსკის, რომ მშვიდობიანი შმართველობა ეხილათ.

1802 წლის შეთქმულებამ პეტერბურგი ძალზე ჩაიფიქრა და ეხლა ყველასათვის აშეარა გახდა, რომ დავითის ტახტიან „არ - მიშვებით“ არც საქართველოს დამოუკიდებლობისა და არც დინასტიის საკითხი არა სწყდებოდა... უქმაყოფილება იზრდებოდა. სპარსეთის უალმა მმართველმა, ბაბა-ხანმა საქართველო ისევ სუვერენულ სახელმწიფოდ სცნო და მის მეფედ დარეჯანის უფროსი შვილი, იულონი გამოაცხადა; ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილი იქედან შემოტევას ამზადებდა იულონის ტახტზე ასაყვანად. ბატონიშვილი ვახტანგი დარიალთან იდგა და მამაცური შეტევისათვის ემზადებოდა, რათა რუსეთისათვის „საკომუნიკაციო“ გზა მოეჭრა; არც ლეკებისა და მთიულებისაგან მოდიოდა სანუგეშო ამბები.

საქართველოში იწყებოდა ცნობილი 1802 წლის ოღრევა, და ყველა ამბების ძაფები დედოფალ დარეჯანს ხელთ ეპყრა, მისი ქალების, თეველა და ქეთევანის დახმარება - მონაწილეობით... რუსეთმა 1802 წლის შეთქმულება ჩვეულებრივის სისასტიკით ჩააქრო; ის იქამდის მივიდა, რომ ბოდბელი მიტროპოლიტიც კი დააბატიშრა და ქართველ ხალხს მკაცრი გაფრთხილება მისცა. ამით მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საქართველოსთან დადგებულ ხელშეკრულებას აღარა სცნობდა და დარეჯან დედოფლის და მისს მომხრეთა ცდა ერეკლეს ტრაქტაზე დაყრდნობისათვის, მას აჯანცებად მიაჩნდა.

საქართველო მარც არ სცხრებოდა და მოწინავე ქართველობა ბაგრატიონების ირგვლივ ირაზმებოდა. ეხლა აქ პარტიები აღარ იყო და სამეფოს გადასარჩენად ყველამ დარეჯანის ირგვლივ თავი მოიყარა. ეს დედოფლი კი ტახტის აღდგენას და ხელმწიფის ახალ მანიფესტის გაუქმებას მოითხოვდა, და მისთვის ეხლა სულ ერთი იყო — ვინ იქნებოდა ამ ტახტზე აყვანილი.

ალექსანდრე პირველის მიერ კნორრინგის ხელით უკანასკნელი იმედების მოსპობის შემდეგ, მის შემდეგ, რაც, დავითის თქმით, რუსეთმა საქართველოს ბეჭი „4 პლუტსა და 1 ლურაქს ჩააბარა“, ბატონიშვილთა ორივე ფრთა (დავითისა და იულიონის) სამეფოს გადასარჩენად გაერთიანდა.

ლაზარევი გახდა თავეჯდომარე „დროებითი მმართველობისა“ და მან ყველას ერთნაირად უწყალოდ დევნა დაუწყო; მან სამეფო ფუნქციათა ნაშთების აღმოფხერას მიჰყო ხელი, რასაც ბაგრატიონთა გადასახლება უნდა მოჰყოლოდა. აი, ეხლა იყო ერთობა და სიმტკიცი საჭირო ისე, როგორც არასდროს...

დავითმა რუსის ლენინალის მუნიციპალურებს უკან დაუბრუნა და განმდგარ ბატონიშვილთ, იულიონის მომხრეთ, შეუერთდა... „ეხლა ყველამ ერთად დაიფრე ცეს — ყოველი ლონით ეცალონ შეინარჩუნონ სამეფო ხარისხი ბაგრატიონთა ოჯახში. ყოფილი მტრები და ეხლა კი მეგობრები, შეთანხმდნენ, რათა აიყვანონ მეფედ ის, ვისაც დანიშნავს და აირჩევს დედოფალი დარეჯან... და ყველანი ერთად სთხოვენ მეზობელ ხანგბს საქმეში დახმარებასო, ბატონიშვილი ალექსანდრეც შეუერთდათ დანარჩენებს და დედოფალ დარეჯანის მეშვეობით მათ სპარსეთის მხრივ ახალ იმედებზე სწერდა: — „ამნაირად, დედოფალი დარეჯანი გახდა ის ცენტრა, რომლის ირგვლივ ბრუნავდა ყველა ეს „ინტრიგები“-ო; „დედოფალი დარია“, სწერდა ლაზარევი კნორრინგა, „რომელსაც აქვს უდიდესი გავლენა თვისი წინანდელი

სამეფო საქმეებთან დაახლოებისა გამო, მთელს აქაურ მანქანას მართავს; ის, ვით დედოფალი, ერთგულთ წყარლობებს ჰქირდება, და ითხოვს დახმარებას, როგორც ქართველთაგან, ისე სამეფოს გარეშე ძალთაგან (მც-ზობელთაგან) და სხვა“... ყველა ამათ გვერდში უდგანან ჰქირბურგის ქართველები და გარსევან ჰყავთვაძეო.

ამის შემდეგ დედოფალი დარეჯანი და ყველა ბატონიშვილები (დავითიც) უგზავნიან „შეთანხმების ბარათ“ ბაბა - ხანს და ალექსანდრე ბატონიშვილის შემწეობით სთხოვენ მას: სცნას მეფედ საქართველოისა იულონი, და დახმაროს მათ ჯარებით რუსთა განსაღევნად; „ეხლა მთელი ხალხიც ამათ აჰყვა“-ო, სწერს ისტორიკოსი დუბრივინი. „მრავალი თავადთაგანი მხლებ-ლებით გადასახლდნენ ალექსანდრე ბატონიშვილთან, კახელნი გადგნენ და ახალ წესს და სამართალს არ ემორჩილებოდნენ, ქართლის თათრობა გაიხიზნა და აყრით იმუქრებოდა; თბილისის ვაჭრობა გაჩერდა, გადასახადს აღარ იხდიდნენ, დუქნები დაპკეტეს “და სხვა. „მოკლედ“-ო, სწერს საგანგებოდ წარგზავნილი რუსის მოხელე ლოხვიცი, „ეხლა უკვე ყველანი უკმაყოფილონი არიან, ისე, როგორც წინად მომხრენი იყვნენ“-ო.

„დედოფალი მარიამიც ეხლა ხშირადაა დარიას-თან“-ო; „თბილისი ერთიანად არეულობაშ მოიცვა“-ო, სწერდა ამ დროს ლაზარევი ჰერტბურგს, „ალექსანდრე ბატონიშვილი, მისი ერთგულებით და მოკავშირე ხანებით სცდილობს წამოვიდეს საქართველოზეო; პირ-კული-ხანი 10.000 კაცით ეპირება ბელაქანისაკენ, საიდანაც ლეკების დახმარებით უნდა ქახეთში შემოიჭრეს, რადგან ხწორედ ეხლა მიიღო ალექსანდრე ბატონიშვილმა დარიას ბრძანება: „დააჩქაროს შემოტევა“-ო, რადგან მისი ცნობებით, რუსთა ჯარი საქართველოში ეხლა მცირეა, კახეთში შეთქმულნი მზად არიან და მათ ელოდებიან“-ო.

აი, რა ზომაშე გაიზარდა ამ დროს დედოფუალ დარეჯანის გავლენა.

ბაგრატიონთა შორის უთანხმოების მოსპობამ რუსეთი დიდ საგონიერელს მისცა. მას მთელი გეგმები ეროვენდა და საჭირო იყო ამ დიდი ქართული მოძრაობისათვის თავი მოეკვეთათ. დედოფალი დარეჯანი და ბაგრატიონები საჩქაროდ საქართველოს უნდა მოშორებოდენ... ხელმწიფე მათ რუსეთში გადასახლებას ითხოვდა და საქვეყნოდ ამას „სადარბაზოდ მიწვევას“ არქმევდა...

მაგრამ დარეჯან დედოფლის სასტიკი წინააღმდეგობის გამო, ქნორინგმა და კოვალენსკიმ რუსეთისა და პირადად ალექსანდრე პირველის ეს დავალება ვერ შეასრულებს; დარეჯანის რუსეთში იმპერატორთან „ატრუმჩათ მიბრძანების“ საქმე ვერ გაჩარჩებს, თუმცა ბერ - ნაირის მომხიბლაობით იყო გამოცხადებული ეს „მიპატიუება პეტერბურგის სასახლეში და ხელმწიფის აღქმული უდიდესი წყალობანი“, მაგრამ დედოფალი არ ჩქაროდა; თვეუ თვეს ამატებდა და ათას რასმეს იმიზეზებდა. მაგრამ სწორედ ეხლა ჩქარობდნენ მისი შიკრიკები ალექსანდრე ბატონიშვილთას და იმერეთში, სოლომონ მეფესთან. ჩქარობდნენ ახალ გამოსცვლათათვის იულონი, ფარნაოზ, ვახტანგ და სხვა ბატონიშვილები, და ეს ამბები პეტერბურგს მოსცენებას არ აძლევდა, — მათი მოვლა ძნელი გამხდარიყო. მაგრამ რუსეთმა ბოლოს წამალიც გამოსძებნა და ციცანოვი მიიწვია.

8 სექტემბერს 1802 წელს პეტერბურგში ღენერალ ციციანოვს ალექსანდრემ საკუთრივ უმაღლესი „რესკრიპტი“ გადასცა, რომლითაც აუწყა, რომ ქნორინგი და კოვალენსკი გადაყენებულ იქმნენ და მათ მიერ ჩადენილი შეცდომების გამოსწორება ეხლა ამ მამაც ღენერალს მართებდა.

ამ „რესკრიპტში“ საღუმლო დავალებები იყო ჩამოთვლილი და მათ შორის თვალსაჩინ ადგილი ეჭი-

რა: დედოფალ დარეჯანის რუსეთში სასწრაფოდ „მიპატიუებას“. ხოლო 21 ნოემბერს ხელმწიფემ სპეციალური ბარათიც გადასცა ციციანოვს დედოფალ დარეჯანისათვის. აქ უცნაურის თავმდაბლობით და მოკრძალებით ეპატიუება იგი დედოფალს და მის ქალიშვილებს პეტერბურგში და იჩქარის მათ პირადად ხილვას, რათა თავისი პატივისცემა და ყურადღება დაუმტკიცოს. (აქტები, ტ. 2).

მაგრამ რუსეთისათვის. ასე მხნე და თავდადებულ ციციანოვსაც, რომელიც სწრაფ და უწყალო ხელით ანადგურებდა ყველაფერს ქართულს, თითქმის ერთი წელიშადი ვედრება და მუქარა დასჭირდა, ვიდრე დედოფალ დარეჯანს პეტერბურგისაკენ პირს აქევინებდა...

მაგრამ, დედოფალი დარეჯანის შვილის შვილის, ისტორიკოს ალექსანდრე ორბელიანისა არ იყოს: „ეს ამბავი იხლა აქ მოკლედ ითქმის, თორუებ ისე დაღია!“ და აშკარაა, ბევრი უძილო ღამეები გაატარებინა ამ ერთი წლის განმავლობაში დედოფალმა უტეს და ჯიუტ დენერალ ციციანოვს; ვერ იქმნა, ვერ გამოიყვანა ეს ზეიადი ადამიანი დედოფლურის ღარსეული დარბაისლობიდან ცივმა და მრისხანე ღენერალმა.

ციციანოვს ჯერ ისევ პეტერბურგში აუწყეს, რომ დედოფალს თვითონვე გამოეთქვა სურვილი ალექსანდრე პირველის ხილვისა; ამიტომ საქართველოში ჩასვლის წინ ციციანოვი „კავკასიის ხაზზე“ გაჩერდა და 27—12—1802 წ. აქედან კოვალენსკის მისწერა: „გიგზავნით ხელმწიფის და თან ჩემს პირად წერილებს დარიასთან და სხოვეთ — დაჩქაროს ჩამოსცლაო; მას თვითონ განუცხადებია სურვილი ხელმწიფის ნახვისა და თან სურს წამოცვეანოს ასულნი: თკლა და ქეთევანიო. ვსარგებლობთ ამით, და ვიჩქარით ავუსტულოთ ეს წადილიო. ეს წერილი პირადად გადაეცით და თვითონაც ეცადეთ დაარწმუნოთ... ჩამოვიდეს აქ „ლინიაზე“, სადაც მეშვეჩერდა მხოლოდ იმისათვის, რათა ავსტულო ხელმწი-

თის ნება დარიას საჩქაროდ გამგზავრების შესახებო. მე მსურს — თვითონ გავისტუმრო აქედან პეტერბურგისა-  
კინ. ფული რაც საჭირო იქმნეს, არ დაზოგოთ, მიეცი-  
თო". დიდ გულუხვეობას იჩენდა ეხლა ეს ღენერალი.

მეორე დღეს, 28—12, ციციანოვი მინისტრს კოჩუ-  
ბეის აწერდა, რომ გაუგზავნა კოვალენსკის წერილები და  
დავალება და უცდის „ლინიაზე“ პასუხს კიდევ 12 დღე;  
თუ უარი მომივიდა, მაშინვე გავსწევ, რომ პირდაპირ მი-  
ვიღო ზომა რათა მოვაშორო დარია იქაურობასო, სადაც  
მისი ყოფნა „სტოლ მნოვო ნაროღნი უმი კოლებლეტ“.  
მაგრამო, განაგრძობს იგი, მე პირადად არა მჯერა დე-  
დოფლის გულწრფელი განზრახეისა რუსეთში წასასვლე-  
ლადო. „წინააღმდეგ, ვფიქრობ, რომ მან ეს განვებ მოი-  
გონა, რათა გაფანტოს იქვები მისი მონაწილეობის შესა-  
ხებ იმ ორევაში, რასაც იქ შარშან ზაფხულზე ადგილი  
ჰქონდა. ამავე დროს დედოფალი უცდის ალექსანდრე ბა-  
ტონიშვილის ჩამოსკლას განვაში და შემდეგ ჭარში არე-  
ულობის მოსახდენადო“. ამასთან გენ. ციციანოვი სწერს,  
რომ ლაზარევი მას ატყობინებს, რომ დარიას აქვს საი-  
დუმლო კავშირი ალექსანდრე ბატონიშვილთან, და რომ  
ამ ეამად ხელახლა მიუღია მისგან წერილი, სადაც აუწ-  
ყებს, რომ საქართველოსაკენ ჯარებით მოდის და თუ  
ციცხალი დარჩა, საქართველოს სამეფოს აღადგენს, ხო-  
ლო თუ ის მოჰკლეს, მაშინ დარეჯანმა დაივიწყოს, რომ  
მას და მეფე ერეკლეს ჰყავდათ შვილი, ალექსანდრეო...

გენ. ციციანოვის ცდას დედოფლის „ლინიაზე“ მიპა-  
ტიებისათვის, რასაცეირველია, არავითარი ნაყოფი არ  
გამოუღია და ამ პირეველ მარცხე მან შესაფერი მოხსენება  
აფრინა პეტერბურგს. 10 — 1 — 1803 წ. ციციანოვი  
ხელმწიფებს სწერს, რომ „დარეჯანმა უარი განაცხადა წა-  
მოსვლაზე, თითქოს ავადმყოფობის გამომ და მე ეხლავ  
მიემგზავრები, რათა თქვენი ბრძანება, მისი ძალად გად-  
მოსახლების შესახებ შესრულებულ ვყო“-ო. იმავე დღეს

ის უფრო დაწყრილებით მოახსენებს მინისტრს კოჩუბეის, რომ მისი იჭვები გამართლდა; რომ დარიას თხოვნა რუსეთში წასვლაზე უბრალო ფარდა იყო; ამით მას სწალია დაფაროს მისი თანაგრძნობა საქართველოში წარმოებულ არეულობათადმი, რომელთაც განსაკუთრებით თვით დედოფალი დღესაც აღვივებს. „აი, ეს მაიძულებს ეხლავ ძალად გადმოვასახლო ის და მასთან მთელი სამეფო ოჯახი—“ და სხვა. (იხ. აქტები, 2.).

მართლაც, გადაჭრებული არ გამოდგა ციციანოვის „სიფრთხელე“ და ის მალე დაჩწმუნდა, რომ დედოფალს კიდევ აქვს მრავალი უხილავი ქადაგები გაბმული და ჯერ კიდევ ბევრი მოძებნებიან საქართველოსა და ტახტის აღდგენისათვის თავდადებულნი...

გენ. ციციანოვს ხელთ ჩაუვარდა წერილები დედოფლისადმი, რომელსაც ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები, თეითონ ციციანოვის მიერ რამოდენჯერმე გაგზავნილ აზნაურ ზაქარია ჯორაშვილს ატანდჩენ, სხვა ოფიციალურ მიწერ-მოწერათა გარეშე. მთავარმართებელი მიხედა, თუ რა სასაცილოდ მოატყუეს. ის და როგორ მშვენივრად სარგებლობდნენ დედოფალი და ბატონიშვილები ციციანოვის შიკრიკით, რომელსაც ვითომდა თავს ედეა ალექსანდრე ბატონიშვილის რუსებისაკენ გადაბირება და მისთვის ციციანოვის მოწოდებათა გადაცემა. ამას მოჰყევა ხანგრძლივი მიწერ - მოწერა ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილთან მათი „გადმობირების“ პირობების შესახებ და ზ. ჯორაშვილიც ახალ დავალებებით რამოდენჯერმე ჩივიდა სპარსეთს.

აი, ამ შიკრიკის საშუალებით გაცხოველდა გახიზნულ ბატონიშვილების მიწერ-მოწერა დარეჯან დედოფალთან; ბოლოს, ჯორაშვილმა სპარსეთიდან ოთხი საოცუმლო წერილი ჩამოიტანა დედოფალ დარეჯანისათვის; მეტის სიფრთხილისათვის, მან ეს საყურადღებო წერილები ჯერ ქალაქ გორში დასტოვა თეიმურაზ ბატონიშვილის მცულლე ელექტრონულ უკანასკნელმა კი ეს წერილები

ანდო როსტომ ბაგრატიონის, დედოფალ დარეჯანისათ-  
ვის გადასაცემად მუხრანში. აი, ეს წერილები უპოვნეს  
როსტომ ბაგრატიონს და ყოველივე გამომქონდა. დამა-  
ხასიათებელია დარეჯანის ერთგულთა სიამაყე და ქედ-  
მალლობა რუსთა მიმართ. როცა რუსებმა ამ როსტომს  
დაჰკითხეს და პირადობის საბუთებიც მოსთხოვეს, მან მრ-  
უვო, რომ ის როსტომ ბაგრატიონი გახლავთ და არავი-  
თარ „დოკუმენტებს“ არ ატარებს, რადგან ბაგრატიონით  
თორმეტი საუკუნის სახელმოვანი ისტორია აქვთ, ხოლო  
ის თვითონ მხოლოდ 35 წლისა არის (აქტები, 2).

გენ. ციციანოვი მიხვდა, თუ რა საშინალად ატყუი-  
ლებდა მას და ათამაშებდა დარეჯან დედოფალი, რა მო-  
ხერხებულად აგზავნინებდა ბატონიშვილებთან შიგრიკს,  
ეითომდა შესაჩიგებლად და ნამდვილად კი... ამ მარცხის  
დამალვა გენერალმა ვერ გაძელა და შინაგან საქმეთა მი-  
ნისტრს კოჩუბეის წინაშე 5—10—1803 წ. ახდილად აღი-  
არა — თუ რა მოხერხებულად მოატყუა იგი დარეჯან  
დედოფალმა, და რომ ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, დე-  
დოფლის ნდობა არავითარ შემთხვევაში აღარ შეიძლე-  
ბოდა. ციციანოვი სწერდა, რომ საქართველოში ჩამოს-  
ვლისათანავე მან მოახერხა ორი ბატონიშვილის გადასა-  
ხლება, რაც გაზაფხულის დასაწყისავე მოჰყვა „გადა-  
სახლება ღვთისავაგა წყეულის“ დედოფალ მარიამისა.  
რაც შეეხება დარეჯანს, იძულებული ვიყავ მისი გარდა-  
სახლება შემოდგომამდე გადამედო, „წყლულთა გამო“,  
რაც ჩემი თვალითვე ვნახეო, რადგან მისი არა მჯე-  
როდა. აქევ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ციციანო-  
ვის აღრინდელი მოხსენება მინისტრისადმი (11—4—1803  
წ.) დედოფლის ავადმყოფობის შესახებ... „ბატონიშვილ  
დავითის და ვახტანგის გადასახლებამ“, სწერს გენ. ციცი-  
ანოვი, „გამოიწვია დედოფალში ახალი მწუხარებანი,  
რაც ძველს ზედ დაერთო და ამან გააძლიერა მასში ავ-  
ადმყოფობის შემოტევანი, გაუხშირდა გულის წასვლა და  
მთელს სხეულზე სიმსიცნე მოედო. ვიცოდი რა თ ვიდა-

ნეე დედოფლის ეშმაკობა და ფანდები სხვა და სხვა სა-  
 ბაბთა გამოსაძებნად, რათა რუსეთში გამგზავრების დრო  
 გახანგრძლივებინა, მე არა მწამდა მისი ავადმყოფობისა,  
 ვიდრე ამას თვით არ შევამოწმებდი.. და ეს მოხდა ამ  
 დღეებში, როცა მე მას, ვითომდა თავაზიანობის დასამტ-  
 კიცებლად, აღდგომის მისალოცად ვეახელ .ამ დარბაზო-  
 ბამ მართლაც დამარწმუნა მის ავადმყოფობაში და იძუ-  
 ლებული გაეხდი მისი გამომგზავრება გადამედო.

აი, ამის შემდეგ გენერალმა დარეჯანს იძულებით  
 წება დართო, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, სამკურნალოდ  
 მუხრანში გადასახლებულიყო, მაგრამ ფრთხილმა გენ.  
 ციციანოვმა დედოფალს მუხრანშიც ჯაშუში მიუყენა.

დავუბრუნდეთ ციციანოვის მარცხს ზაქარია ჯორა-  
 შვილის მიერ ჩამოტანილ დედოფლის საიდუმლო წერი-  
 ლის გამო ციციანოვი მინისტრს აუწყებდა, რომ მან ჯო-  
 რაშვილის საშუალებით მიწერ-მოწერა გამართა სპარ-  
 სეთში გახიზნულ ბატონიშვილებთან და ჯორაშვილს წე-  
 რილებთან ერთად ფულიც გადასცა. მაგრამ ყოველ შემ-  
 თხევეისათვის ამ ჯორაშვილსაც ჯაშუში მიუჩინე და  
 ბოლოს გამოირკვა, რომ ჩემი წერილები მხოლოდ ნი-  
 ლაბი ყოველან; მის უქით იფარებოდა გაცხოველებული  
 მიწერ-მოწერა დედოფალ დარეჯანისა და ბატონიშვილ  
 ალექსანდრეს შორის. იმ ოთხი წერილიდან, რომელიც  
 დარეჯანს უნდა მიეღო, ჩენ სრულიად დავრწმუნდით  
 სიძულვილში, რასაც რუსეთისადმი ატარებენ ალექსან-  
 დრე ბატონიშვილი და მისი მშობელი დედა... ეს წერი-  
 ლები რომ დარეჯანს მართლა მიეღო, ვინ იცის, რით გა-  
 თავდებოდა ეს „წამოწყებაო... აი, გარემოება, რაიც მაი-  
 ძულებს ეს „ფესვები“ არეულობათა საცხებით ამოვაგ-  
 დო“-ო. (იხ. წერილი ციციანოვისა 5—10—1803 წ. აქ-  
 ტები, 2.).

ცველაზე უფრო ჩამაფიქრებელი რუსეთისა და ცი-  
 ციანოვისათვის იყო ეს წერილები, რომლითაც ბატონი-  
 შვილები დედოფალ დარეჯანს ატყობინებდნენ: — „ნუ

დაოდობთ, ჩვენი საქმე, ლვთის შეწევნით, თქვენად გუნებად მოვა”-ო...+

თუმცა ეს წერილი მოკლე იყო, გაგრამ მრავალის მთქმელი და ვინ იცის, ფრთხილი ბატონიშვილები სიტყვიერად კიდევ რას დააბარებდნენ ამ ჯორაშვილს, რომელიც ციციანოვმა ვერავითარის ხერხით ვერ გასტეხა.

ბატონიშვილი ალექსანდრე და თეიმურაზი ერთ-ერთ წერილში დარეჯან დედოფალს სწერდნენ: „თქვენი შეილი ალექსანდრე და ოქვენი შვილის შვილი თეიმურაზ ჩვენს მოწყალე ხელს ვაკოცებთ; ჩვენს ამბავს მოიხსენებთ; ლვთის მოწყალებით, ყოვლითურთ მშვიდობით გახლავართ. ამას წინად ჩვენის ხელმწიფედან დიახ მძიმე ხალათები მოგვივიდა და დიდი მწყალობელი ბრძანდება ჩვენი; ჩვენი საქმეც ლვთის შეწევნით თქვენად გუნებად მოვა. ყოველსავე ჩვენს ამბავს თვითოულად ზაქარია გიამბობთ; რომელიც რომ წიგნება გეთხოვთ, რაც მოგაროვით“ და სხვა. აზის ბეჭედი ბატონიშვილთა. (იხ. აქტები“, 2.).

აშეარა იყო, რომ მუხრანში ყოფნას დედოფალი არა სამყურნალოდ, არამედ სულ სხვა მიზნებისათვის იყენებდა. დედოფალს შეეტყო, რომ მისი პირმშო იმედი, იულონი სპარსეთს ხელა საქართველოს მეფედ ეცნო ამრომ საჭირო იყო დროს მოგება, დაცდა ვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსთა დაბმარებით შემოიჭრებოდა და იულონს ტახტზე აიყვანდა.

მდგომარეობა რუსეთისათვის სახიფათოდ ვითარდებოდა და დარეჯანის საქართველოში დატოვება, ერებლეს ხსოვნას რომ ასე აცხოველებდა, შეუძლებელი იყო. და ციციანოვმა გადასწყიტა მოხუცი დედოფალი მუხრანის სასახლიდან ძალით გამოყვანა და გაეგზავნა ძლიერის კონვის ქვეშ მოზღვეში, ცნობილ და მკაცრ კომენდანტ პროტოპოტორისათვის მიევვარა: ეს კი ბრძანებისამებრ პეტერბურგისაკენ ჩქარა გაისტუმრებდა „ჯიუტ დედოფალს“.

აი. აქედან იწყება მკაცრი შეტევა ციციანოვისა დე-  
დოფლის წინააღმდეგ: გადასახლების მძიმე ამოცანის შე-  
სრულებას, წინანდელ მწარე გამოცდილების გამო (დე-  
დოფალ მარიამისაგან გენ. ლაზარევის მოკვლის გამო),  
შხოლოდ ათასჯერ გაშროვნილს და სიმამაცე-ჭიუა-მახ-  
ვილობაში ნაცადს, რუსთა ერთგულს, ღენერალ ორბე-  
ლიანს მიანდობს ახალი მთავარმართებელი.

ციც-ანოვი 10—9—1803 წ. უკანასკნელ წერილს  
(უკეთ — ბრძანებას) უგზავნის დარეჯანს და ურჩევს,  
სააჭრაფოდ გაემგზავროს რუსეთს და სხვა და სხვა და-  
პირებებით ნულარ ცდილა დროს გადადებას, თორემ  
მთავარ მართებელი იძულებული გახდება ძალა იხმაროს  
და ისე გადასახლოს ც... თუ მუხრანში წასვლა შესძე-  
ლით, იქაც შესძლებთ წასვლასო, დაცინვით სწერდა იგი.

ამაზე დედოფალი დარჯანი მეორე დღესვე ვრცელის  
წერილით უპასუხებს და სთხოვს მისი მოხუცებულებისა  
და სნეულების გამო შეიწყალოს ციციანოვმა დიდი ერე-  
ლეს ქვრივი და ერთ ხანს კიდევ დასტოვოს იგი თვის ძვე-  
ყანაში... „ორჯერ ისე შევიძენ ამ სნეულებისაგან აქ ყო-  
ფაში“-ო, სწერდა დედოფალი ციციანოვს, „რომ სიკვ-  
დილს ცოტას მოვრჩი“-ო... „ალარ იქმნა ჩემი განკურნე-  
ბა და რა ვქმნა; ჩ მი მტრები, რომელნიც დიდ მარხეაში  
მოგახსენებდნენ — ავად არ არისო — ვიცი, არც ეხლა  
დაიშლიან ჩემს ბეჭდებას. ღმერთმან ისე ამყოფოს ოქვე-  
ნი მტერიც და ჩემიც, როგორც მე ვარ — მეტად ალარ  
დავშეწყვლი — ესეც გებრძანებინათ: „მუხრანს წასვლა  
შეიძლით და რუსეთს წასვლასაც შეიძლებთო“; კარგად  
მოგეხსენებათ, დიახ სხვა და სხვა რიგი გზა არის თბი-  
ლისიდან მუხრანი და მუხრანიდან პეტერბურლი“...

ბოლოს დედოფალი, ხედავს რა, რომ მისი მიწერ-  
მოწერა ალექსანდრე ბატონიშვილთან ციციანოვმა გა-  
მოამჟღავნა და გადასახლებას ამის გამო აჩქარებს, ცდი-  
ლი ცოტა ოდენი დრო მაინც მოიგოს; და ამ დროში ვინ  
იცის — რა გართულება მოუხდეს რუსის ჯარს და მის

ლენინგრადს საქართველოში, იქნება კიდევ მოასწროს მისნა ძემ, ალექსანდრემ საქართველოს დროშის აფრიალება და ბაგრატიონთა ტახტზე აპრისნება..

და დედოფალი ცდილა რუსეთის ხელმწიფეს მიმართოს საგანგებო თხოვნით და მისი პასუხის მოსვლამდე მინც მოახერხოს მუხრანში დარჩენა, საითკენაც ფიცხელი შეკრიცები ბატონიშვილებიდან ახალ ცნობებს მოაქროლებდნენ.

„ამას ვითხოვ თქვენის ბრწყინვალებისაგან დიდის ვე დრებით“, განაგრძობს დედოფალი იმავ წერილში — „ეს მოწყალება მოიღოთ ჩემზე, ჩემი მოხუცებულობაში მყოფი უძლურება შეიბრალოთ, „ბაშფორთი“ მიბოძოთ, რომ კაცი გავგზავნო — მის დიდებულების უმდაბლესი არზა მივართვა და შევევდრო — მანამდი კი დამაცადოთ.. კვლავადვე ცრემლით გთხოვ ამ თხოვნის ასრულებას, რათა კაცის გაგზავნის ნებაც მომცეთ და მოსვლამდე მისა კიდეც დამაცადოთ, რისათვისაც მაღლობის გამოთქმაც არ შემძლება“... და სხვა. (იხ. დედოფლის წერილი 11—9—1803 წ. აქტები, ტ 2.).

დედოფლის შეიწროების ამბები ბატონიშვილებმა ჰარგად იცოდნენ და ისინიც თვიდანვე სცდილობდნენ, რითაც და როგორადაც კი მოეხერხებოდათ, მიხმარებონენ განაწამებ მოხუც დედას რუსეთთან ამ უსწორო ძრძოლაში...

ბაგრატიონთა და დედოფლის მხარეზე იყო მხოლოდ სიმართლე, მაგრამ ძალა კი რუსეთსა და ციციანოვს ეპყრათ ხელთ. სიმართლის, სამართლის და დადებული პირობის ეხლა რუსეთს აღარ ეშინოდა; ეს „სიფრთხილის“ ხანა მან უკვე განვლო: საქართველოში ეხლა აღარც მეფე იყო და აღარც ბაგრატიონები, მათი ურთვულებით, ხოლო ახალ არტილერიით შეჭრვილი რუსის ჯარი კი ბლომად იდგა.

აბა, რაღა საბოდიშო საქმე უნდა ყოფილიყო ამ დროს დედოფლის რუსეთში გარდასახლება?..

მაგრამ უცხოეთში გახიზნული ბაგრატიონები, მანც არ ჰყრილნენ დარალს და დიპლომატით და ხმალით უდილობდნენ სამეფოს ოჯახის აყენებას, სახელმწიფოს აღდგენას...

იმ „მანიფესტის“ სიყალბე და ფარისევლობა, რითაც ალექსანდრე პირველმა შოთავლის 12 — 9 — 1801 წელს საქართველოს სამეფოს გაუქმება ამცნ, ხომ მანც უნდა გაეგო მოელ ქვეყანას და რუსეთი 1783 წლის „ტრაქტატის“ დამრღვევად ელიარებინა. და ალექსანდრე ბატონიშვილი რუსეთის ხელმწიფეს სწერდა: — დასამხოჭად კი არ შემოსულა ეს უძველესი სამეფო თქვენს საფარველში, არამედ შეწევნისათვისო... „მამამან ჩემმან უფეხანი ირაკლიმ შევეღრა თავი თვისი იმპერატრიცა დატერინას, რათამცა დაიცვას სამეფო და სახლი თვისი გარემოთა თვისითა მღერთაგან; მხილველთა ამისა სპარსოა... მოვიდნენ და წარსწყვიტნეს ქალაქი ჩვენი — ტყვე ჰყვეს და იაგარ ჰყვეს ქალაქი ჩვენი. შემდგომად ამისა მოულოდა სახლი ჩვენი ნუგეშის ცემასა, — ვინათვან როსიისა ხელმწიფისა, საფარველისა დადებისათვის წარტყვენილ ვიქებით ჩვენ“. სწორედ თქვენთან ხელშეკრულების დადებისათვის სასიკედილო ლახვარი ჩაგვცა 1795 წელს სპარსეთმა.

... და აბა, სადღაა ეს აღთქმული მფარველობა სანეფოისო, ჰერითანულობს ბატონიშვილი; ეხლა ხომ, ერცკლეს მიცვალების შემდეგ, სულ უარეს დღეში ჩაგვაგო რუსეთმა და „მფარველობის“ ნაცვლად, სამეფო პეტლად გააუქმაო, — „ოდებუა იქმნა მეცედ ძმაი ჩვენი გიორგი, მხახოვებელმა ქრისტიანესაგან ხელმწიფისა შევედრა თვისი სახლი, რათამცა დაიცვას მშვიდობასა შინა და არა განსრულიყო მეფობა სახლით ჩვენით...

„ყოვლად მოწყალევ ხელმწიფევ, ნაცვლად კეთილად დაცვისა, ესგვარი დაცვა მიიღო სახლმან ბაგრატონთამან, რომ ერთიც ეს ბაგრატოვანთა აღარა იპოვების საქართველოსა შინა და არა თუ უფლად, არამედ არცა-

და თუ სახითა ერთისა კეთილშობილიათა... ასეთ ნაირად ლევითხევრენით ქვეყნით ჩვენით, რომელსაცა შინა გან- ულო შთამომავლობამან ჩვენმან. ათას ორას თუ და თო- თხმეტი წელი მეფობისა შინა, რომელთაცა სისხლითა სყიდულ არს მრავალის გზის საქართველო და ერნი სა- ქართველოსანი”...

ამ დიპლმატიური ნოტის შემდეგ, რომლითაც ნათ- ლად მეღაენდება რუსეთის მიერ საქართველოსადმი ჩა- დენილი ვერაგობა, ბატონიშვილი დედოფალ დარეჯა- ნის შეიწროვებულ მდგომარეობაზე ვადადის და სოხოვს ხელმწიფეს — ამ ერთ საკითხში მაინც გამოიჩინოს ქრი- სტიანული ლმობიერება და მოხუც დედოფალს ნება მი- სცენ თავისი ძვლები ერეკლეს გეერდით მოასვენოს... „გი- არძანებიერთ“, სწერს ალექსანდრე ბატონიშვილი, „ხელ- მწიფის, დედის ჩემის, დედოფალის მანდ წამოსვლა, რო- ნელიც მოხუცებულებისა და მწუხარებისა გამო, ესრეთ უსუსურ ქმნილ არს, რომე ვერ ძალუდს აღდგომად სარე- ცლით თვისით, არამც თუ კავკასიის გარდმოვლა და მაგ იშორის გზის გაელა შეეძლოს. ვევედრები დავრდომით ხელმწიფებასა თქვენსა, არა ინებოთ სიკვდილი მაგისი უჟამოდ გზასა ზედა... მიხედეთ მოწყალებით, დაუტე- ვეთ ეგე, რათა რა ეამს აღსრულოს, შთაყარონ ძვალი ავისნი თვისასა მცულლესთანა... და თუ არა ინებებთ, იყ- ავნ ნება ხელმწიფისა თქვენისა“...

ალექსანდრე ბატონიშვილი ამგვარისავე თხოვნით მი- მართავდა კაფუ ვ. ზუბოვს და ევედრებოდა შუამდგომ- ლობას ხელმწიფის წინაშე, რათა დაეტოვებინათ საქარ- თველოში იაღმყოფი და უძლური მეუღლე დიდის ერ- ცლესი, რომელსაც რუსეთისათვის მრავალი ომები გა- რდახებადა.

ამ წერილებს ბატონიშვილი თავტიზიდან გზავნიდა და ელოდა, რომ ციციანოვს პეტერბურგიდან შესაფერი ბრძანება მოუვიდოდა (იხ. ალ. ბატონ. წერ. 1 — 7 — 1803. აქტები, 2).

აღმართ შეილის ამ ცდების იმედი ჰქონდა დედოფალს, რომა ციციანოვას სთხოვდა: ცოტა კიდევ მაღროვეთ და სელმწიფესთან კაცი გამაგზავნინეთო ამ გზით დედოფალს მცირე დროს მოგება შეეძლო და ის „დრო“ სწორედ ეხლა იყო საჭირო...

მაგრამ პეტერგურგი სხვა გვარად ანგარიშობდა და შისი პასუხი ასეთ ოხვნაზე დუმილი იყო; ციციანოვს კი კვლავ ახალი ბრძანებები მისტიოდა გადასახლების დასაშურებლად... ციციანოვიც ამ ინტრუქციებს გადაჭარბებულის ენერგიით და სიტლანჯით ასრულებდა: — მან ეხლა ღენერალი ორბელიანი დიდ ძალის ჯარით მუხრანს გაისტუმრა და თუ საჭირო იქნებოდა ამ ჯარს იქ მდგომი პოლკი (უმიაცემა) უნდა მიმატებოდა; უნდა დედოფალი მუხრანიდან სასწრაფოდ გამოეყვანა და ასეთივე სისწრაფით დარიალს იქეთ გაეგზავნა. ეს დიდი სისწრაფე საჭირო იყო, რათა ქართველთ რაიმე მღელვარებისა და თავ-დასხმის მოწყობა არ მოესწროთ...

რუსების ერთგულ ღენერალ ორბელიანს ციციანოვმა დარეჯანის შესახებ საგანგებო დარიგებანი მისცა. ამ ნატრუქციებში ცველაზე შესანიშნავია გაფრთხილება, რათა დედოფალს ჯერ ხანად დიდის მორიდებით და თავაზიანად მოეპყრონ და ამასთან ერთად კარგად გასინჯონ, რომ რაიმე იარაღი არა ჰქონდეს გადამალული; რომ ორბელიანს ზედმიწევნით უნდა ახოვდეს განსვენებული ღენერალი ლაზარევის ბედი და სხვა. (იხ. წერ. ციციანოვისა ორბელიანისადმი, 1803 წ. აქტ. 2).

მაგრამ დედოფალმა ეხლა სხვა ტაქტიკა ამჯობინა: რან, რაკი საქმე წაგებულად მიაჩნდა, არჩია მეტის ღირსებით და დიდებით გაბრძანებულიყო საქართველოს საზღვრებიდან, ვიდრე ეს დედოფალს მარიამს წილად ხვდა. ამით მას უნდოდა დედოფალის დიდება და სახელი არ ძოპლებოდა თვის მიწა-წყალზე, რათა ქართველ ერს ერთხელ კიდევ დაენახა, რომ რუსეთშიც ის „დედოფალად“ მიბრძანდება „მიპატიუებისა“ გამო და არა იძუ-

ლებით... ამას გარდა, მას ეხლა არა დარჩენოდა რა; ვინ ცის, იქნებ დარეჯანი ფიქტობდა, რომ მისი ასეთი დე-  
ონფლური სიამაყე და ქედმაღლობა, რითიმე კიდევ გა-  
მოადგებოდა ქვეყანას, თუ მას მომავალში ერთხელ კიდევ  
ეწერა საქართველოში დაბრუნება.

დინჯად და მეფეურის ლირსებით იძლევა დარეჯანი  
უკანასკნელ განკარგულებებს და თვითეულ კვალს თავის  
მიწა - წყალისას ძნელად სტოვებს.

ლენერალ ობელიანის დიდის ხევწნა - მუდარის შე-  
მდეგ დელფინალი მისი ამალით 25 — 10 — 1803 წლის  
დაიძრა მძიმედ მუხრანიდან. (მარი ბროსეს დელფინალის  
გარდასახლების თარიღი შეცდომით აქვს აღნიშნული.  
ის სწერს, რომ დელფინალი დარეჯანი გარდასახლეს  
1804 წ., როცა იგი 70 წლისა იყოო. (იხ. ტ. 2, გვ. 636))

ამ გამარჯვებას გენერალი ციციანოვი დიდის ამბით  
ულოცავდა იმპერატორსა და მის მინისტრს; ამავე დროს  
ის შემთხვევას არ უშვებს, რომ ძალად გაძევებულ დელ-  
ფილს ერთი ქვა კიდევ ესროლოს და პეტერბურგის კარზე  
საქმე უფრო გაუფლეოს...

„იმყოფებოდა რა შუა ქართლში“, სწერს ის პეტერ-  
ბურგს, „დელფინალი ცდილობდა უახლოესი გავლენა მო-  
ეპოვებინა ქართლის წარჩინებულებზე და თავისი შიკ-  
რიკების წყალობით ათას შეუსაბამო ხებს ავრცელებდა,  
ჰითომც სპარსეთის ჯარი უკვე საქართველოსაკენ დაძ-  
რულიყოს, რომ ერთგულ ლექთა 500 კაცი უკვე გამოგ-  
ზავნილია მუხრანისაკენ, რათა დელფინალი მთებში გაი-  
ტაცონ. ასეთმა უაზრო ამბებმა, რომელსაც მეორე  
მხრივ უფრო აღვივებდნენ იულონ და ფარნაოზ ბატონი-  
შვილები, იქონის უკვე თავისი გავლენა იმ ერზე, რო-  
ცელშე უფრო ქარატშუტას მე მთელს ქვეყანაზე არ შე-  
მნვიდრივარ“ - ა.., „მაგრამ“ - ა., ამშვიდებდა ციციანოვი  
ხელმწიფებს, „დიდი არა გამოუვიდათ რა აქედანო, გარდა  
რამოდენიმე შეკრებულებათა და ეხლა კი, დარეჯან დე-  
ონფლის წასკლის შემდეგ აქ ყველაფერი მათვის უცი-

ლოდ საშინელი დამარცხებით უნდა დამთავრდეს"-ო...  
და ბოლოს დასძნს: „მართალია, დარეჯანმა ცხრა თვე-  
ზე მეტი მაწვალა, მაგრამ ბოლოს მიღმართო ერთადერთს  
საშუალებას: შიშა და ძალდატანებას, რაიც აზიელებზე  
ასე ძლიერ მოქმედებს და აი, ამან გასჭრა"-ო. (იხ. აქტე-  
ბი, ტ. 2. წერილი 27 — 10).

ლენერალი ორბელიანი, რომელიც განსაკუთრებუ-  
ლის რაზმით მუხრანში ჩავიდა 25 — 10 — 1803 წელს,  
ქედან ციციანოვს აუწყებდა, რომ თუმცა ისეთის სისწ-  
რაფით, როგორც ნაბრძანები ჰქონდა, ვერ იმოქმედა, მა-  
გრამ ასე თუ ისე, მიზანს მაინც მიაღწია, რადგან დედო-  
ლალმა ამ შემთხვევაში დათმობა არჩია და წინააღმდე-  
გობა აღარ გაუწევია; თუ წინააღმდეგობად არ ჩაითვ-  
ლება ზოგიერთი ნაბიჯები დედოფლისა, რაიც მისს გა-  
მზავრებას ახანგრძლივებენ.

„დედოფალმა თავისთან მიმიხმო“, სწერს ორბელი-  
ანი, „და განმიცხადა, რომ ის ემორჩილება უმაღლეს ნე-  
ბას რუსეთში გადასახლების შესახებ, თუმცა ძლიერ ავად  
ძრანდება. დედოფალი იმდონებს, რომ გზაზე მას მიე-  
ციმა სათანადო დახმარება, ურომლისოდაც ის ვერ იმ-  
აზავრდს; და ბოლოს მან მომთხოვა დრო, რათა წასვ-  
ლის წინ ეზიაროს, რაიც მე იძულებული ვიყავ შემეს-  
რულებინა. ამის შემდეგ დედოფალმა გადმომცა სია იმ  
პირთა, რომლებიც მას სურს, რომ თან ეახლონ. ამ სიაში,  
თქვენს მიერ ნება დართულ 20 პირის ნაცვლად, აღნი-  
შნული არის 36, მაგრამ ამაზე დედოფუალს მე წინააღმ-  
დეგობა ვეღარ გავუწიე, მისს მეტ წყენას მოვერიდე და  
საბოლოოდ ეხლა თქვენა გთხოვთ ამ კითხვის გარდაშუ-  
ღიტას"-ო. (იხ. 25 — 10 — 03 მოხსენება ორბელიანისა  
ციციანოვისადმი).

მიუხედავად ყოველგვარი ზომებისა, არ იქმნა, ვერ  
შესძლო ორბელიანმა ეს გარდასახლება სასწრაფოდ ჩაე-  
ტარებინა; შემდეგ მოხსენებაში ციციანოვისადმი, იგი  
სწერს, რომ რამდენიც არ შეეცადა დედოფლის ყურად-

დების დამსახურებასა და გულის მოგებას — არაფერი გამივიდა — დედოფალი ვერ ავაჩქარეო...

მუხრანიდან წამოსვლის შემდეგ დედოფალმა ერთი დღე წილკანში დაჰყო შეილებთან გამოსათხოვარად; როცა ჯიქურიანთ კარში მივედით, დედოფალმა \* ავადმყობობა მოიმიზეზა და ერთი დღე იქ დაჰყო; ანანურში ჯერ ერთი დღით აპირებდა დარჩენას, ნამდვილად კი 2 დღე დარჩა, დღესაც ანანურიდან 3 <sup>3</sup> ვერსის მანძილზე გაჩერდა და ღამეს აქ ათევს ისევ ავადმყოფობის მომზე ჩერპითო მავე დროს ჩვენი ექიმი ახლოსაც არ მიიკარა .. ჩემს თხოვნაზე, დაჩქარებით მგზავრობის შესახებ, დედოფალმა განმიცხადა, რომ დღეში სამ ვერსზე მეტს ვერ გავივლიო.. ამის გამო გთხოვთ მოსწეროთ მას, რომ ააჩქაროს მგზავრობა და მეც მაცნობეთ, შემიძლია თუ არა, ძალა დავატანო და ააე ავაჩქარო (იხ. ორბელიანის მოსენება 1 — 11 — 1803 წ. აქტ. ტ. 2.).

რუსთა და ციციანოვის გულის მოსაკლავად, დედოფალი მაინც არა ჩქარობდა. ის თითქმის თითო დღე და ღამე რჩება ყოველ სოფელში და გამოსათხოვებლად მეფურ ნადიმებს იხდის. ამ დროს მასთან იმყოფებიან არა მხოლოდ 20 მხლებელი, რამდენის წაყვანის ნებაც მისცეს, არამედ თითქმის ორი იმდენი და ისიც კიდევ მეტ ამყოლთ მოითხოვს, რომ საქართველოს დედოფლის ჩაბრძანება პეტერბურგს მართლაც დედოფლური გახადოს. ყველა ამ მხლებელთა გარდა, მას საქართველოს საზღვრამდე აცილებენ მისი საყვარელი ქალიშვილები და შვილისშვილები, სიძეები, უხუცესნი, სამღვდელოება, ყოფილი სარდლობა და სხვა მრავალნი..

ერეკლეს ძველი საქართველო ადვილად არ უთმობდა რუსეთს თავის საყვარელ დედოფალს: ხალხი უკან შიედედა, ჯარით გარშემორტყმულ დედოფალს და მისტიროდა; ეხლა მეორედ ამ ერთი წლის მანძილზე, დედოფალ მარიამის გარდასახლების შემდეგ, მისტიროდა საქართველო მართლაც უკანასკნელ დედოფალს, რომე-

ლიც იძულებით და ამაყად სტოებდა საყვარელ სამშობლოს. ვერავის აეხსნა: რათა, რისთვის? თუ დედოფალმა გარჩიმა რუსის ღენერალი ხაჯლით განგმირა, დარეჯანს ხომ არავინ მოუკლავს! მაშ, ამ ღრმად მოხუცს და წეულს რად აძევებენ ასე შორს და რად არ აძლევდნენ ნებას უკანაკნელი დღეები გაეტარებინა საყვარელ თბილისში?

კიდევ მრავალს სწადდა, რომ თან გაპყოლოდა დედოფალს და ამით თავისი ერთგულება დიდი ერეკლეს ოჯახისადმი სიკვდილამდე შეენახა, მაგრამ ამის ნება რუსეთმა მათ არ მისცა.. ამის საილიუსტრაციოდ მრავალგან ერთი მაგალითი: მოგვყავს ერთი წერილი ექვთიმე თაყაიშვილი: რედაქციით გამოცემულ „საქართ. სიძველენი“-დან — დედოფალ დარეჯანის მოლარე ვარდაგი, მოზოგიდან სტეფანე ყორლანაშვილს, რომელმაც ვერ მოახერხა დედოფალს ხლებოდა, სწერდა: „მერმე წერილი გიბოძებინა, მივიღევით; რომელიც ცხად „ყოფდა სიტყვასა მრთელსა და ჟეშმარიტსა, რომელმაც ჩვენ შორისცა ანაკადნა ცრემლნი მრავალნი... ჩასავირელია, შენი, დედოფლის შემსჭვალული და თავ-დადებით ერთგული, გული იგრე შესწუხდებოდა. ამისმა უმაღლესობამაც ასე დაირწმუნა და ბძანა, „თუ ამისთანა საგანსაცდელო შწუხარება არა ჰქონიდათ, ფეხშიშველიც გმოიჭრებოდათ და მეც მნებავს იმის ჩემთან გაუშორებლობა“-ი, მაგრამ ღმერთის ერწმუნება და ამ ჩვენის ხელმწიფე დედოცლის მზებ, ციციშვილმა ისეთი წერილი მოსწერა, რომ უკუ ითხოვა: წიგნს ნულარ მოწმერო და აღარც ვისი-ღა თან წამოყოლა იქნებათ. ამ მიზეზით აღარც ესე გწერს წიგნსა. და ვინც ახლავენ, ამასაც ბევრობენ რუსები და ამისაც ეუბნებიან და მოახსნებენ (დედოფალს); რომ კიდევ უნდა დააბრუნოვო. ხომ იცი, შენი ჩვენთან ყოფნა როგორ საამოა, მაგრამ არ შეიძლებოდა და ამისათვის ჯულს ნუ დაგაკლდება. ღმერთს სთხოვე — შენი ხელწიფის კცალად საქართველოში ხილვა, ამის მოწყალე

გული შენზედ არ შეიცვლება“. შემდეგ ის აუწყებს დე-  
 ტოფლის უზომოდ დამწუხრებას და აუტანელ ყოფას,  
 რომელშიაც რუსეთმა დარეჯანი ჩააყენა: „ამისი უმალ-  
 ლესობა, როგორც იცი, ისე ბრძანდება გულ-დაწყლულე-  
 ბული, და ღვთის მშობელს შეკყურებს, მწუხარეთა ნუ-  
 გეშს... ჩვენი ამბავი სხვა რაღა მოგწეროთ“-ო, დასქნა  
 — „იცი, რაც სიხარულიანი გული გვექნება“-ო... (იხ. „სა-  
 კართველოს სიძველენი“, გვ. 400). ამ წერილს ხელს აწერს  
 მეორე მხლებელი — თამარ.

მაგრამ უფრო შეტის მოქმედია აქვე მინაწერი ორად  
 ორი სიტყვა დედოფლის დეკანზის ალექსისაგან: — „რა  
 მოგახსენო, არა ვიცი რა...“ ამით, ველურ ფორმებში ჩა-  
 ტარებულ „კარანტინის“ გამო, რუსეთის ვერაგობით შე-  
 წუხებულმა დეკანზმა უკვე ყოველი სთვვა...

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ დედოფლის გარდასახ-  
 ლების ამბავს.

ამოდენა ამალის ხლებით გულ-წასული, „ექსპედი-  
 ციის“ ეკონომი უმიანცევი დედოფალს მოახსენებს, რომ  
 პეტერბურგამდე სამყოფი ფული და სურსათი ჯერ კიდევ  
 ქ, საქართველოში თავდებაო; და თუ შეიძლება, დედო-  
 ფალმა შეამციროს და უფრო გაასადავოს სტუმართა კვე-  
 ბაო. ამაზე დედოფალი მოჭრით უპასუხებს, რომ ის და  
 მისი მხლებელნი ჩვეული არ არინ ნაკლებსა და მდარე  
 სუფრას, ხოლო თუ კი რუსეთს ამისი სახსარი არა აქვს,  
 ს ისევ თავის ქვეყანაში დარჩება და აქედან ფეხსაც არ  
 მოიცვლია... შეშინებული უმიანცევი ისევ ყველაფერს  
 პირდება დედოფალს, ოღონდ ასე „ტაატით“ წარმოე-  
 ბული მგზავრობა, როგორმე ააჩქაროს. ამაზე ის პასუხს  
 იღებს, რომ დედოფალი ცდილობს, რაც შეიძლება დაა-  
 ჩქაროს მოგზაურობა, მაგრამ ავადმყოფობა ძლიერ უშ-  
 ლის ხელსაო (იხ. წერილი უმიანცოვისა ციციანოვისად-  
 მი ანანურიდან. აქტ. 2).

მაგრამ ყველაზე უღრო შესანიშნავია დედოფლის ის

ზაბიჯი, რომელიც საქართველოს საზღვრების გაცილე-  
ბისას მან გადასდგა.

დედოფალი აქ ბარონ უმიანცეცის იბარებს და გადას-  
ცემს წერილს ციციანოვიათვის და თან პირადადაც ავა-  
ლებს, შეატყობინოს ლენერალ, რომ დედოფალი მოზ-  
ოკიდან პეტერბურგამდე ოჩბელიანის მეთველყურეო-  
ბის ქვეშ ვერ იმოგზაურებს; მას არ შეუძლია მოითმი-  
ნოს, რომ რუსეთის ტერიტორიაზე საქართველოს დედო-  
ფალს, იძულებით, თითქმა ტყვეს, გაატარებს ქართველი  
ლენერალი... — „მე მოვითხოვ გამყოლ ჯარის უფროსად  
რუსი დამინიშნონ, ხოლო თარჯიმნად დარჩეს იგივ ქარ-  
თველი პრაპ. ჯომარჯიძე“ — .

აქვე უმიანცევი დასძენს, რომ დედოფალი თავის სი-  
მტკიცეს არ იშლის და ძალიან მძიმედ იცვლის ფეხს. და-  
ლესაც „წყაოთშია“ და უნდა ამ ლიმითაც აქ დარჩეს,  
ცვადყმუფობისა გამოო. მისი სამი ასული და ბატონიშვი-  
ლები ჯერაც აქ არიან მასთან, და ალბ თ კაიშაურამდე  
გააცილებენ თავისი მხლებლებითო. ამითაც, რა თქმა უნ-  
და, „ეკონომიის“ ხარჯები იზრდებათ, დასძენს უმიანცე-  
ვი . (იხ. უმიანცევისმეორე მოხსენება ციციანოვისადმი,  
იქვე). უმიანცევის ამ მოხსენების გამო ციციანოვი ბრა-  
ზით იცხება; დადოფლისადმი ასეთ „ლმობიერ“ მოპყრობა-  
ში ის აუდგილო ლიბერალიზმს ხედავს და მოხელეს აფრ-  
იხილებს — მომავალში მიცემულ ინსტრუქციებს ოდნა-  
ზა: ა. აც არ გადასცდეს... ამასთან უსაყველურებს, რომ გა-  
ბედა და ხარჯებს, (20 მხლებლისათვის მისგან დაგე-  
ნილი რომ იყო), გადაბიჯდა... „ოქვენ შეტს თანხას არ მი-  
ღებთ“ — , სწერს იგი; „რაც შეეხება დედოფლის „ავად-  
ჟყოფობას, დევ მან აწიც ცურუოს მას მაინც ძალით წა-  
უვანს უფროსი (ოჩბელიანი) მის ნელ მოგზაურობაზე  
უქვენ მზრუნველობას არავინ გკითხავთ, ყველაფერი ეს  
შარტო ლენერალ ოჩბელიანის საქმეა, რომელსაც ვუ-  
ზი ჩანან, დღედაღმ სასწრაფოდ იმოგზაუროს. რაც შე-  
უხება დარიას განცხადებას და წერილს, უნდა ამაზე გი-

პასუხოთ, რომ მომავალში თქვენ არ მშეროთ წერილები, გარდა ისეთებისა, რომელიც შეეხებიან, კვების კითხვებს; სხვა რამეში კი ნუ ერევით; ეს მინდობილი აქვს მხოლოდ დენერალ ობელანსო (იხილეთ წერლები ციციანოვისა უმიანცევისადმი. იქვე. 2 და 5 ნოემბრისა, 1803 წ.).

ერეკლესი და განსაყუთრებით გიორგის სიკვდილის შემდეგ საქართველო უკვე საფრთხეს აღარ წარმოადგენდა პეტერბურგისათვის და ეხლა არა მარტო მეფობა და ამეფო უნდა ჩათვლილიყო გაუქმებულად, არამედ მოელი სამეფო სახლის ავტორიტეტი, წონა, ჰეიადობა რუსეთს ტალაბში უნდა ამოესეგარა. საჭირო იყო ძველ ბაგრატიონთა დინასტიის არა მარტო დაშლა და გაქრიბა, არამედ მისი შარავანდედის სრული გაიაფება და გაყალბება. და მერჩედ რატომ? რათა საქართველოს ყველა ჩეზობელს, სამცფოსთან დაახლოებულ ერებს ერთბაშად ეგრძნოთ ამ სამეფოს და მისი დინასტიის სრული არარაობა დიდი რუსეთის წინაშე. ამით ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოკვეთილიყო ზრახვა ამ საქართველოსთან და მის ძველ დინასტიასთან რაიმე დაახლოებისა და მისი წინაშეძლოლობით კავკასიის რომელიმე კუთხეში ანტირუსული პოლიტიკური ერთეულის შექმნისა...

აბა, ესი შეეძლო წინად, თუ არა საქართველოს, რომელსაც უძეველესი სახელმწიფო ბრიენი ტრადიცია ჰქონდა, კავკასიის ხალხთა შორის პირველობა ეკისრა და რონელიმე პოლიტიკური გაერთიანებისათვის ხერხემალი მიეცა!

აი, ეს დასაყრდენი ისე უნდა მოშლოდათ კავკასიის შრავალნაირად, ეთნოგრაფიულად აჭრელებულ, განცალკევებულ ერებს, რომ იქ ცარიელი ადგილი და ცუდი მოგონება დაშორებილიყო.

საქართველოს სამეფო სახლის წევრთ ყოველგვარი ნაღალმსვლელობის და ბრწყინვალების ნიშნები უნდა ჩაშორებოდა...

აი, ეს საქმე იმპერიამ ციციანოვს დააკისრა და მანაც იგი „ლირსეულად“ ბოლომდე მიიყვანა. ამ ღენერალმა ბატონიშვილთ და ორთავე დედოფალთ ჯერ ყოველგვერი საგანგებო უფლებები წაართვა მერმედ მთელი მათი მანულები და ყოველგვარი ქონება რუსეთის ხაზინას გადასცა, მათ სასახლეებში ჯარისკაცები და ყაზახები მოჰავესა და ბოლოს რუსეთშიც ძალად გადასახლა, და რერმე როგორ ასახლებდა? როგორც სისხლის სამართლის ცკანასკნელ დამნაშავეს; ხშირად ისე ნაცემ-ნაგვემო, ვით შეარცველთ და ავაზაკო, გარსშემორტყმულთ, შეიათებულ რუსის ჯარისკაცების ჩაზით. ისე სწრაფად მიათრევდა ციციანოვი პაქართველოს ლირსეულ დედოფლებს, ტახტის მემკვიდრეს და სხვა ბატონიშვილებს ჩრდილოეთისაკენ. აი, ამაზე სწერდა ირონიით ერთ-ერთი ბატონი-შვილი ციციანოვს, რომ რუსეთიდან მემკვიდრე დავითმა... მიიღო გადაჭედილი კიდობანი და პატივი დამნაშავესა „მუჟიკისა“-თ. (აქტები 2).

ეხლა კი არა თუ მარტო ქართველ ხალხს უნდა ეხილა თვალით მათი „შარხდენა და დაგლახება“, არამედ, როგორც აღვნიშნეთ, კავკასიის სხვა ერებსაც, რომელთაც ქართულ დანასტიისადმი დიდი პატივი და მედი შეენახათ. აი ამიტომ იყო, რომ ციციანოვი მქაცრ ბრძანებას უძლეს ყველა რუსის კომენდანტებს, გადასახლებულთ კზაში რომ ხვდებოდნენ: სასტიკად და დამამცირებლად ნობყრობოდენ მათ, ხოლო თუ ვისმეს რამე სიფრთხილეს ურჩევდა, მხოლოდ იმის შიშით, რომ უხეშობას ხალხში ამბოხება და არეულობა არ გამოეწვია და ამით მთელი რუსული პოლიტიკა თავდაყირა არ დაეყენებინა...

ამით აისხნება დედოფალ დარეჯანისა, მის წარჩინებულთა და მხლებელთა ისე ტლანქებდ და უდიერად მიღება, რაიც კომენდანტმა პროტობოპოვები მათ მოზღვეთან და შემდეგ თვით მოზღვეში გაუმართა: — ეს კომენდანტი ციციანოვისაგან სამისიოდ აღრევე იყო გაფრანგისტული. მან ხომ წინადაც დიდი მადლობა მიიღო

ციციანოვისა და რუსეთისაგან, დედოფალ მარიამისაღმი შკაცი და ტლანქი მოპყრობისათვის... ეს მეორე დედოფალიც უნდა ამავე დღეში ჩაეყენებინა კომენდანტ პროტოპოვეს, რათა ჩრდილო - კავკასიის ხალხების თვალში ყოველგვარი პატივისცემა და წონა დაჰკარგობდა სა-ჯართველოს უკანასკნელ დედოფლის... ძველი დიდების ძალა ერთბაშად უნდა დავიწყებოდა მათ...

ამ უხეში მოპყრობის ზოგიერთ ამბებს ჩვენ ვტყობილობთ პროტოპოვეს მოხსენებიდან ციციანოვისაღმი.

ეს კომენდანტი, 24 — 11 — 1803 წ. ციციანოვს აუშენდა, რომ 18 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე დედოფალი დარეჯანი თავისი მხლებლებით მოზღოვას ჩამოაწიდა. კომენდანტს ამ საშინლად დაქანცულ პირთათვის ესაოცარი „მიღება“ გაუმართავს: მას ისინი ქალაქში არ შეუშვია და მდინარის გაღმა, მოშორებით გაუჩერებია; ხოლო ვინაიდან იქ არც ერთი ადამიანი არ ბინადრობდა უა არც რამე შენობა იდგა, კომენდანტს „კეთილ უნერებია“ და დედოფლისა და ზოგ მხლებელთათვის ერთი კარავი გაუმართავს, ხოლო დანარჩენთ „პოვოზეა“-ში უნდა „მოესვენებინათ“.

აღშოოთებულ დედოფალს, ასეთის დამცირების გამო, პროტესტი გამოუთქვამს არზედაც მას განუმარტეს, რომ ყველაფერი ეს ხდება „საკირანტინ შესდების“ ძალით, რომ ჯერ აველანი აქ უნდა დარჩენ, თანახმად მ შესდების 119 მუხლისა; მხოლოდ განსაზღვრული ზრის შემდეგ შეეძლებათ მათ თვით ქალაქში შესვლა... .

დედოფალსა და მის მხლებლებს იქ სრული ეჭვი იღებ დავაყოფინებ, სწერს პროტოპომოვი, და მრავალ შებოლება - ხრისტოვათა შემდგომ (პო შესტიდნევნოი ოქურკე), გამოირკვა არა, რომ არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდნენ, 23 — 11 ნება მივეცი ქალაქში შემოსვლისათვის. დედოფალი, ახლობლებით, საკომენდანტოს სახლში მოვათავსე, ხოლო დანარჩენები კერძო ბინებშით. ეხლა დედოფალი ისვენებს და ნელნელა გონებას მოდისო.

ჯერ-ჯერობით მათი ნივთები კვლავ კარანტინშია და როდის გაანთავისუფლებენ იქედან, არ ვიციო. როცა ეს მოხდება, მაშინ დედოფალს საგანგებო ეტლით და სხვებს. კი 10 პოვოზე ით, (მხლებელთა სიმრავლის გამო ესეც ძალიან ცოტაა), გავისტუმრებო; გიორგიეს სკამდე გასა- ჯოლად 60 ყაზახს დავუნიშნავო; სჩანს, მარტო ამ საკი- თხში იჩენს პროტოპოპოვი გულგაშლილობას. აი, ამ 6 დღედაღამის „ლრწოლვა - შებოლების“ შემდეგ სწერდა გონგი - შეშფოთებული დეკანზი ალექსიძე თბილისში: „რა მოგახსენოთ, არა ვიცი რაო“ - რ. ვერ გამიგია, თუ ჩენს თავზე რა ხდებაო... (იხ. ზევით).

ამ ცნობებს ციციანოვი დიდის ალფროვეანებით შე- ეგება და 17 — 12, კომენდანტს პროტოპოპოვს უპასუხა, რომ დიდად კმაყოფილია ყველა მისი განკარგულებით და ,მოხარული ვარ, რომ ასე გაამართლეთ ჩემი იმედე- ბი“ და ასეთი მიღება გაუმართეთ დედოფალსო. რაც შე- ეხება მის მხლებელთა სიმრავლეს, ყოველგვარად ეცადეთ ოცხე ჩამოიყენოთ; ხოლო თუ დედოფალმა არა ჰქმნას, გამოუცხადეთ, რომ ასეთია ჩემი ბრძანება და სხვა არა- ფერით...

როგორც დავ-ნახრთ, „მცველების“ გაყოლებაში პრო- ტოპოპოვს გადაჭარბებული გულუხვობა დაუმტკიცებია და აქედანაც იჩვევა, რაგვარად ეშინოდა რუსეთს დე- დოფლის ავტორიტეტისა და ერეკლეს ოჯახისადმი წრდილო - კავკასიის ხალხთა განწყობილებისა... შესა- ლო იყო ამ „თავზე ხელ ალებულთ“ მართლაც მოულოდ- ნელი დაუმა მოეხდინათ, გზები გაეფუჭებინათ და ერ- ეკლეს მოხუცი მეულლე და დედოფალი სამარცვინ ტყვეობიდან ეხსნათ...

რაც შეეხება დედოფლის ამალის რაოდენობას, პრო- ტოპოპოვმა ის ვერ შეამცირა, მაგრამ ორ ჯგუფად გაპ- ყო და ამით მისი ძალა შეისუსტა... ეტყობა, ამ საკითხში პროტოპოპოვს დიდა წინააღმდეგობა გაუწია დედოფალ- მა; მან აღბათ გადაწყვეტით გამოუცხადა, რომ ამ შემთხ-

ცევაში ფეხსაც არ მოიცვლიდა მოზდოკიდან და ამის გამო კომენდანტმა დედოფლის მხლებელთა შემცირების საკითხის მიღუჩეჩება არჩია.

7 — 1 — 1804 წ. ის ციციანოვს სწერდა, რომ კარანტინის ოპერაცია დედოფლისა, მის მხლებელთა და ნივთთა მიმართ კარგად მოთავდა და დედოფლალს 5 იანვარს უკვე ვამგზავრებდი გეორგიევსკისაკენ, მაგრამ უეპრივი იგი ავად გახდა და ერთის დღით კიდევ გადავდე მისი ვამგზავრებაო. ხოლო 6 — 1, დამის 11 საათზე ის მაინც ვაჭიატუმრე, ზოგიერთი მისი მხლებელნი კი: სახლოთუხუცესი — გ. ჩოლოყაშვილი, ვახტ. ორბელიანი (სიძენი დარეჯანისა), და ეშიკ-აბაში სვ. ჯანდიერი მსახურებითურთ, „კონვიის“ თანხლებით უკვე 5-ს გავაგზავნეო, ხოლო დარეჯანი კი გუშინ გავაგზავნე და თან 100 კაცი-საგან შემდგარი მცველები გავაყოლეო.

საინტერესო იქნებოდა გავცნობოდით დარეჯან დედოფლის შვილის-შვილის ისტორიუმს ალექსანდრე ორბელიანის ცნობებს, დედოფლის რუსეთში გარდასახლების შესახებ. ისტორიუმს მთელი რვეული დაუტოვებია იმ იძულებითი „მოგზაურობის“ აღწერით მაგრამ ამ უარიდ ჩვენ ამ რვეულამდე, სამწუხაროდ, ხელი არ მიგვიწვდება. ამიტომ უნდა დავკმაყოფილდეთ სულ მცირედით, რაიცა ამონაშერის სახით მოჰყავს ვატანგ კოტეტიშვილს თავის „ლიტერატურის ისტორიაში“; იქ აღნიშნულია ირი დამახასიათებელი ეპიზოდი.

პირველი შეეხება გარდასახლების იმ ღამეს, რომელიც დედოფალმა კაიშაურში გაატარა. ალექსანდრე ორბელიანი გადმოვცემს, რომ დედოფლალს მრავალი ახლობელნი აცილებდნენ და მათ შორის მისი ასულნიც.

კაიშაურში შუალამისას ვიღაც მოხუცი გამოეცადება დედოფლალს და მოახსენებს: — „მთელი მთიულეოთი დიდი ხანია მზადებაში ვართ, ესლა სულ შეყრილი გახდავართ აქ, მახლობლად. თუ თქვენ ნებას მოგვცემთ,

გათენებისას დაეცხმით ამ რუსის ჯარს, გავსწყვეტთ, თქვენ ერთიან მთაში შეკიყვანთ, და მასუკან ჩაც მოხდა, ეს ღვთის ნება იყვეს დედოფალო“-ო!

თეკლა ბატონიშვილი — „მამა - ჩემს მეფეს ერეკლისთვან გახლავარ დასწრობილი ბევრს სროლაში, თვით თქვენც იცით ესა, რომლისაგან ნება მქონდა, კაცურად ჩაცმული ცოცილიყავ და იმათან მევლო... ეხლაც, თუ თქვენი ნება იქნება, კიდევ ვაჟკაცურად ჩავიცვამ, თოფიარალს შემოვირტყამ, ამ ჩემს ქმარსაც თან წავიყვან და ამ მოხუც ქვევითით თან გავყვებით“-ო...

მაგრამ დედოფალმა აღარ ინება თავისი გარდაწყვეტილება შეეცვალა; ის ეხლა სისხლის ღვრას და დიდ გართულებას მოერიდა.

ალექსანდრე ორბელიანის მეორე ამბავი შეეხება რარეჯან დედოფლის გარდასახლებაში, პეტერბურგში ცხოვრებას. იგი სწერს: —

„ერთს დილით დედოფლის სასახლის წინ დამწყვდეული ჩიტები გაატარეს გასასყიდად. დედოფალმა უბრძანა, რომ ეყიდათ მთელი გალია. ყველანი გაოცდენ, თუ რათ უნდოდა დედოფალს ამოდენი ჩიტები. დედოფალმა ჯალია იოლო გამოალო ფანჯარა და ჩიტები სათითაოდ კადააფრინა...“

— ჩვენც გვეყოფა ტყვეობა, თქვენ მაინც იყავით თავი სუფალნიო — და თვალებ - ცრამლიანმა გალია გარააგდო“-ო. „კიდევ რამდენ ასეთს სურათს აგვიწერს ჩვენი აეტორი“-ო, დასხენს ვ. კოტეტიშვილი. მაგრამ, საუბრდუროდ, მას ეს საინტერესო მასალა, ალექსანდრე ორბელიანის რვეულიდან დარეჯან დედოფლის პეტერბურგში ცხოვრების შესახებ აქ შეუწყვეტია.

შემდეგ ამბებიდან ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ დედოფალი და მისი მხლებელნი 22 მარტს მოსკოვს ჩაუკვანიათ, ხოლო 28 მაისს 1804 წ. მათ პეტერბურგში ვხედებით.

წაბრძანდა დედოფალი, მაგრამ მისი გული საქართ-

ველოში დარჩა; იქ, სადაც მისი ბატონი ერეკლე ეს-  
ჯენა, იქ, სადაც მისი საყვარელი ქალები და ვაჟები, ზოგ-  
ნი უცხოეთში გატრილნი, და ზოგნაც დაჭავლეთ საქართ-  
ველოში გახიზნულნი, დარჩნენ... გულის ძერით უსმენ-  
და პეტერბურგიდან დედოფალი სამშობლოს ამბებს. მან  
რუსეთიდანაც მოახერხა, მოუხედავად უსასტიკეში პირო-  
ბებია, არა მარტო საქართველოსთან, არამედ სპარსეთ-  
თან — თავის შვილთან და შვილისშვილებთან კავშირი  
გაება.

დარეჯანი პეტერბურგიდან უოშებ გოგია კალუსოვს  
კავნის სპარსეთში, სრულიად ლეგალურად, ხელმწიფის  
ლოცვა-კურთხევით. იქ დარეჯანი თითქოს ერთხელ კი-  
დევ უჩიევს ალექსანდრე ბატონიშვილს რუსებთან შე-  
რიცხვას, მაგრამ ეს მხოლოდ რუსთა თვალის ასახვევად,  
ნამდვილად კი ამ შიკრის უფრო სხვა გვარ დავალებებით  
სტუმრებდა დედოფალი. რუსეთის იმპერატორი კი ყო-  
ველგვარ მფარველობას სთხოვს ციციანოვს დედოფალ  
დარეჯანის ამ შიკრიკისათვის...

მწარედ იკვნეტს ჩარბებს ციციანოვი, რომელიც სი-  
ნამდვილეს კარგად ხედავს, მაგრამ უმაღლეს ბრძანებას  
ჯერ უხვევს...

გოგია კალუსოვი კარგა ხნის მერქე ბატონიშვილე-  
ბისაგან ისეთივე „საჩვენებელი“ წერილებით ბრუნდება,  
ხოლო ნამდვილ დავალებაზე ზეპირი პასუხებით.

გენერალი ციციანოვი ბრაზობს და ჯავრს იყრის  
ახალი „დანოსებით“, რომელთაც ის ამ უამაღ დიდ მხე-  
დარისა და სარდალის, პეტრე ბაგრატიონის წინააღმდეგ  
უწერს.

სწორედ ამ პეტრე ბაგრატიონმა იშუამდგომლა იმ-  
პერსტორის წინაშე დედოფალ დარეჯანის თხოვნის გამო  
— გოგია კალუსოვის სპარსეთს გასაგზავნად.

გენერალი ციციანოვი მას, კარიერის უმაღლეს სა-  
ჯებურზე მდგომს, ისე პირდაპირ და უხეშად ვერას უბე-  
რავს, მაგრამ მზაკვრულად ხელმწიფეს მოახსენებს, რომ

შაგზატიონი „დიდი მხედარია“, მაგრამ „მდარე პოლიტიკის“-ო, რაც დარჯვანისადმი გაწეულ პროტექციიდან შეანსო. ამავე დროს დედოფალზე ყოვლად უდიერი და უშვერი იერიში მიაქვა, რომ მომავლისათვის ამით მაინც წაუშდინოს საქმე; გნ. ციციანვი მას „ნიღაბის მატარებელ ინტრიგანს“ უწოდებს, რომელიც „არასდროს არ დანებებს თავს ალელვოს აქაური“ (ქართველი) „ქარაფშუტა ხალხი“-თ... (იხილეთ აქტები, ტ. 2. პატავი ხელმწიფისა დმი, 30 — 12 — 1804 წ.).

ამ პატავში გნ. ციციანვი ბრალუა სდებს დედოფალს, რომ ის სომებს კალუსოვის საშუალებით დაბრუნება-შერიცვების ნაცვლად, სულ საჭინააღმდევო რასმეს სწერს და თან ცნობებს აწვდის თავის შეილს და შეილისშვილებას სპარსეთშით.

ამ ამბებით შეძრუნებული გნ. ციციანვი საიდუმლოდ სწერს ასტრახანის ლუპერნატორს: „გთხოვ ყველა, პარსეთიდან მაქეთ მომავალნი და აგრეთვე რუსეთიდან პარსეთს მიმავალნი პირები, რომელთაც შეიძლება რაიმე კაშირი ჰქონდეთ საქართველოს სამეფო სახლის წევრებთან, გაჩრიკოთ; ამ გზით უნდა აღკვეთილ იქმნას მანებელი მიწერმოწერა რუსეთსა და სპარსეთში მყოფ საქართველოს სამეფო სახლის წევრთა შორის. თუ რაიმე საეჭვო უბონოთ, დააპატიმრეთ და გვაცნობეთ მეცა და პეტერბურგსაც“-თ. (იხ. ციც. წერ. გუბერნატორ ტენიონვისადმი. აქტ 2).

გენერალ ციციანვის იქვები, რასაკვირველია. მალე ამაზოთლდა; შიკრიკი გოგია კალუსოვი, სპარსეთიდან წერილებით და საგანგებო დავალებებით, დედოფალ დარეჯანთან წარმოვზავნილი, მართლაც გაჩრიკეს, და მას ილექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილის წერილები აღმოაჩინეს.

გენერალი ციციანვი თავის გამარჯვებას დღესასწაულობს და 29 აგვისტოს მინისტრს ჩარტორიცსკის წერს, რომ სომები გ. კალუსოვი რომელიც ცნობილ

ჰეტერე ბაგრატიონის პატიოქეცით, დედოფალი დარე-  
ჯანის მიერ წარგზავნილ იქმნა წერილებითურთ, აჯან-  
ჟებულ ალექსანდრე და ოეიმურაზ ბატონიშვილებთან,  
ბოლოს დაბრუნდა და ბატონიშვილთა პასუხი (წერილე-  
ბი) ჩამოიტანაო. ეს ბატონიშვილები ითხოვენ, რომ დე-  
უოფალმა მომავალშიაც გ. კალუსოვის ხელით გზავნოს  
წერილებით და სხვა. აქედან აშვარაა, ასკვნის გენ. ციცა-  
ნოვი, რომ ამ კალუსოვს უეჭველად ჰქონდა საიდუმლო  
ზავალებან დედოფალ დარეჯანისაგან — და არამც თუ  
უძრია მათ დაბრუნება და შერიგება, არამედ სულ საწი-  
ლალმდეგა . . საპასუხო წერილებში, დედოფლის რჩევით,  
ის აზრი უნდა გამოიქმულიყო, რომ მხოლოდ იმ შემთხ-  
ვევაში დაანებებდნენ ბატონიშვილები თავს საქართვე-  
ლოზე დაცემას, თუ რომელიმე წევრი სამეფო სახლისა,  
აშვართველოს მეფედ გამოცხადდებაო. აშვარაა, დამწერ  
ბატონიშვილთა და უფრო კი მათი შთამგონებელის, და-  
რეჯანის მიზანია ამ წერილების საშუალებით რუსეთის  
ხელმწიფეს მათი ნამდვილი ზრაბები გააცნონო. და-  
სასულს გენ. ციცანოვი საგანგებოდ აღნიშნავს თეთ-  
რიურაზ. წერილიდან იმ ადგილს, სადაც ბატონიშვილი  
ჰოხვეს მთელი ქვეყნის რუკას, აქედან ის დასკვნის, რომ  
ბაბა - ხანის დამარცხების შემდეგ, ბატონიშვილები ახალ  
კზებს ეძებენ და უნდათ გადავიდენ ან თურქეთში, ან  
შეიძლება საფრანგეთში; ეს მართლაც მოსალოდნელია,  
უკეთესობაში მიიღებთ ჩემს წინა მოხსენებას (13  
— 8 ნომ. 546), რომლითაც გაცნობებდით; რომ ბონი-  
პარტეს ემისარი, ღენერალი ფრანგული არმიისა, რომელ  
მოვიდა სპარსეთში და ბატონიშვილებთან შეხვედრა  
ჰქონდაო (იხ. ციც. მოხსენება ჩარტორისკისაღმი. აქტ. 2).  
ეხლა გვინდა, მეთხველს გავაცნოთ, ზოგის შემოქ-  
ლებით ეს წერილები, რომელიც გენ. ციცანოვმა დე-  
ლოფალ დარეჯანის შიკრის დაუჭირა —  
ალექსანდრე ბატონიშვილი 30 ივნის 1805 წელს,  
თავის დედას სწერდა:

, ხელზე ვემთხვევით და თან გაუწყებთ, რომ თქვენი წერილი მივიღე... თქვენ მიბრძანებთ, დაებრუნდე უკან და მე არ ვიცი როგორ უნდა მოვიქცე: თუ მათ (ესეგი რუსებს) სურთ, რომ მე დავბრუნდე, მაშინ ალიყვანონ სამეფო ტახტზე ერთი რომელიმე წევრი ჩვენის ოჯახისა, მაშინ ჩამოვალთ და ვემსახურებით ხელმწიფესა, და თუ ეს ასე არ იქმნება მაშინ ჩვენ მაქეთ ვერ ჩამოვალთ, რადგან არ გვიპირს მაგათი პური და არც იქმდე მივსულ-დართ, რომ ვისმეს ერთი ნაჭერი პური ვთხოვოთ (აქ ლაპარაკია ორდენებზე და ჯამაგირებზე, რასაც მათ შერიც გრასათვის ჰპირდებოდნენ). მე ისევ ჩემის გზით ვეცდები წივაღწიო მიზანს. დიდ ხელმწიფებიდან ერთი მაინც გამოვიწვდის დახმარების ხელს. თქვენ რომ მანდ ტყვეთ არ ბრძანდებოდეთ, არამედ თავისუფლად სცხოვრობდეთ, მაშინ რასაკვარველია ყველაფერს, რასაც კი გვიბრძანებთ: ავასრულებდით, და რაკი თქვენ ტყვეთ ბრძანდებით, არ ვიცით, რა მოგიგოთ... ჩვენ ვერ გიახლებით მანდ. თუ კი ხელმწიფე მოინდომებს ჩვენი ოჯახის გაბედნიერებას, მაშინ ჩვენ ისეთ საქმეებს ვაჩვენებთ, რომ არა-კითარ არეგაა (აჯანყებას) ადგილი აღარ ექმნება და საქართველოს უომრად დავიქერთ. სხვა ყველა ჩვენს ამბება გაუწყებთ თქვენ ეს გოგია კალუსოვი, რომლისაც მე დიდი მიღლიერი გახლავარ.“ - და სხვა.

მეორე წერილი ეკუთვნის ბატონიშვილ თეიმურაზს კა დაახლოებით იმავე შინაარსისაა; ამას გარდა, თეიმურაზი ძმას, მემკვიდრე დავითაც სწერს, რომლის წერილი, სჩანს, მას კალუსოვის ხელით მიუღია —

„ჩემი გული ვეღარ ტანა იმ უბედურებას, ჩვენს ოჯახს თავს რომ დაატყდა“ - ო, შესჩივის თეიმურაზი უფროს ძმას, „ასევე მაწუხებს ფრიად, რომ თქვენს ადგილას ზის ერთი „დურაქი“ და თქვენ კი ტყვეთ იმყოფებით... თუ მათ (რუსებს) უნდათ ჩვენი შერიგება, აღადგინონ სამეფო ჩვენი და აიყვანონ ტახტზე ერთ-ერთი ბაგრატიონთაგანი, მაშინ ყოველი ღელვა, ამბოხება და-

კხრება და მრავალ სამფლობელოსაც შეიძენენ ჩვენის წყალობით და რასაც ეხლა ხარჯავენ, მისი მესამედიც არ დატხარჯებათ, არც ამდენი ჯარი დაეღუპებათ და ისკვეთ სირცხვილს სჭამენ და თუ ასე არა ჰქმენ, სიკვდლამდე არ მოვეშვებით ჩვენს საქმეს. ყველა ჩვენს მმგბეს ეს გოგია გაუწყებო, რომლისაც მე დიდი მადლობელი ვარ და თუ აწიც გამოგზავნოთ ვინმე, ეს გოგია უამოგზავნეთ“—ო. დასასრულს ის ითხოვს სიტყვაოს, საჟართველოს ისტორიას და მათვლიო რუკის (იხილეთ წევე, წერილები ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილთა, 30 — 7 — 1805 წ.).

ამ წერილებით გენ. ციციანოვმა მართლაც აუხილა თვალები პეტერბურგის; ამის შემდეგ ხელმწიფეს აღარაფერი სჯეროდა: არც ბატონიშვილთა შერიგება - დაბრუნებისა, არც დედოფალ დარეჯანის ამგვარი წადილია. იგი მიხვდა, რომ ამ ქალში ქართველი დედოფალის მოვალეობა უფრო სჭარბობდა, ვიდრე მოხუცი დედისა, სიკვდილის წინ შვილთა ნახვა რომ ენატრებოდა.

რუსეთი მიხვდა, რომ ერეკლე მეფის მეუღლე პენსიგბზე და პეტერბურგის გაჩაღებულ საახლეზე არა ჰყიდა ქართველი დედოფალის ღირსებას. გენ. ციციანოვს საბოლოოდ დაუჯერეს და დედოფალსა და ბატონიშვილების შუა ყოველი გზა გადასცრეს. აწი მათ ურთიერთოთვის არც წერილით, არც სიტყვიერად ხმის მიწვდენა აღარ შეეძლოთ.

ამ ახალ მარცხს მოხუცმა დედოფალმა ვეღარ გაუძლო. ყველა მისი იმედების დამარცხებამ, საქართველოსთან და შვილებთან კავშირის გაწყვეტამ, მას სიცოცხლე გოუსწრავა და 1807 წელს, ნოემბერში, მან სამუდამოდ გახუჭა თვალები.

როგორ სცხოვრობდა დედოფალი უკანასკელ წლებში, ჩვენ სამწუხაროდ არ ვიცით. „საქართველოს სიძველენი“-ში მოიპოვება ცოტა რამ, რაც დედოფლის დიდ

გაჭირებაზე ლაპარაკობს: მთელი მისი ქონება ხომ რუსთის ხაზინაშ მითვისა და ტყვეობაში მყოფ დედოფალს საკმაო ულუფაც კი არ მიუჩინეს! ერთ - ერთ, 1806 წ. მაისის 22-ს დაწერილ წერილში, დარეჯან დედოფლის მოლარები, აღალო ყორლანაშვილს სწერენ:

„ღვთის მადლობა გვემართებს, რომ ბატონი დედოფალი შშვილობით ბრძანდება. სხვა ამას გარდა, მოგეხსენება, რაც ცხოვრება გვექნება... წიგნს რომ მოგართმევთ ხოლმე, არ ვიცით, მოგეხრთმევათ თუ არა“-ო

ისინი ბოლიშს იხდიან, რომ ცარიელ წერილს გიგზავნით, მაგრამ ჩვენი აფალი შენვე იციო. ექვთიმე თაყაიშვილს აქვე მოჰყავს ორი წერილი დედოფლისა ა. ყორლანაშვილისადმი, 1805 წლის სექტემბრის ბოლოსი და 1806 წლის 22 მაისს დაწერილი. ორივე წერილში დედოფლის მძიმე მწუხარება და ვაება იხატება მრავალ უძღვურებათა გამო, მას რომ თავს რუსეთმა დაატეხა. პირველში დედოფლალი ატყობინებს ა. ყორლანაშვილს, რომ წერილი მივიღე, მაგრამ სამავისეროს არას გწერ, პირად ვაბარებ ითანე აქიმსო და ის წვრილად გიამბობს. „მწუხარებისა გამო თავი ხელთ არა მაქეს“-ო, სწერს დედოფლალი. „და არცა გონება თავისუფალი არის მწუხარებისა გამო“-ო.

მეორე და უკანასკნელ წერილში ა. ყორლანაშვილისადმი ჩვენ ვკითხულობთ:

„მეც დიდათა მსურს შენთვის წიგნის მოწერა, მაგრამ გზაზედ ვპგონებ თურმე იყარება წიგნები და ამისთვის ვერ მოვწერ... რამდენიმე ხანია მანდაური ამბავი ლარა შემიტყვია რა“-ო და ბოლოს სთხოვს — „ჩემო ლალო, მანდაური ამბავი და ჩემი ქალებისა წვრილად მომწერე... სხვებრ ვიცი ჩემს ამბავს გიხსენებ, ჩემი ამბავი რალა სათქმელი არის“-ო.. (იხ. საქართ. სიძვ. გვერდი 292 — 294).

პეტერბურგში დარეჯანის უმწეო მდგომარეობას, შილი ორი წერილიდანაც ვხედავთ, რომელსაც ის თავის

საყიდოულ შვილს, ფარნაოზს უგზავნის და ჩოხელსაც  
 ჩვენ შემოკლებით მოვიყვანთ. ეს წერილები 1806 წლის  
 თარიღს ატარებს და ეს ის წელიწადია, როცა დედოფალს  
 უანასკნელი იმედები დაემსხვრა და იგრძნო, რომ საქარ-  
 თოელოს თავისუფლების ხილვას ის ვეღარ მოესწრებოდა!

მართალი იყო რომ სპარსეთში გახიზნული ალექ-  
 სანდრე ბატონიშვილი ისევ იბრძოდა და გულს არ იტეხ-  
 და, მაგრამ თვით საქართველოდან გულსაკლავი ამბები  
 წამოუტანება: რუსეთმა 1804 წ. მთიულეთის დიდი აჯან-  
 ჯება, თავში რომ ასე წარმატებით ვიდიოდა, სისხლში  
 ჩააღრმიო და მისი მეთაური, ფარნაოზ ბატონიშვილი  
 სელთ იგდო. ხოლო მეფედ გამოცხადებული, უსაყვარ-  
 ლები შვილი, იულონი ხომ უფრო ადრე იქმნა ქართლის  
 საზღვარზე დაპატიმრებული! ამრიგად, რუსეთმა და გენ.  
 ციციანოვმა ბაგრატიონები, ერეკლეს და ვიორგის ვაჟები,  
 საქართველოდან გარდაასახლა, ხოლო ალექსანდრე ბა-  
 ტონიშვილს კი მისი მარჯვენა ხელი წაერთვა.

დედოფალს გულგამგმირავი ცნობები მოსდიოდა ქ.  
 ტელიდან, სადაც იულონი იყო გარდასახლებული და ქ.  
 ურმინევითან, სადაც ფარნაოზ ბატონიშვილი, მთელი  
 მისი მხლებლებით, დიდ შევიწროებას განიცდიდა გარ-  
 დასახლებაში. მასთან ერთად იყოფებოდნენ მეუღლე  
 ნისი ანა და ოთხი მცროწლოვანი შვილი. ფარნაოზი აქ  
 უდიდეს გატირვებას განიცდიდა, რადგან ციციანოვმა  
 საგანგებოდ ხელმწიფეს სთხოვა — ფრიად შემცირებუ-  
 ლი ულუფა დაენიშნათ მისთვის და ამას გარდა, ის უნდა  
 ჟაშთენილიყო კორონეების აღმინისტრაციის მუდმივ  
 ავალყურის დევნებაში, როგორც ბელადი მთიულეთის  
 აჯანყებისა: მთელი ქონება ბატონიშვილისა კი გენ. ცი-  
 ციანოვმა რუსეთის ხაზინას გადასცა! აი, ამ ამბებმა და-  
 კეშო დედოფალ დარეჯანს უკანასკნელი იმედის კარები,  
 მისი გული იდაგებოდა, რომ საყვარელ შვილების, მისი  
 ერთგული მებრძოლების ხილვის ნება არ დართება...

დედოფლის ყოველი ცდა და ოთხვნა, რათა ნება

დაერთოთ იულონისა და ფარნაოზისათვის, თვისი გარ-  
ჩასახლების წლები მოსუც დედასთან ერთად გაეტარე-  
სინათ, უშედეგოდ დარჩა. ხელმწიფებმ მხოლოდ ციცი-  
ლოვის რჩევას ათხოვა ყური და ბატონიშვილები დედას  
ამჟღამოდ განაშორა.

ყველაზე მეტად ეხლა ფარნაოზის და მისი ოჯახის  
უიდი მატერიალური გაჭირება სტანჯავდა მოხუც დე-  
დას. მოვიყვანოთ მისი ორი წერილი ფარნაოზისადმი.  
პირველი წერილი დათარიღებულია 10 — 12 — 1805 წ.  
თა დედოფლის საიმედო პირის მიერ არის ფულთან ერ-  
თად წარგზავნილი. ამ წერილიდან არა მარტო ფარნაოზ  
ნატონიშვილის გაჭირებულ მდგომარეობას ვეცნობით,  
ამედ თვით დედოფალისასაც —

„უგანათლებულესო მეფის ძეო,  
„უსაყდარლესო შვილო ფარნაოზ!

„მექმოდა რა ნაკლუნევანებითი მდგომარეობა თქვენი<sup>1</sup>  
ამად იძულებულ ვიქმენ დ დობრივთაგან ნაწლევთა და  
წარმოგვივლინე არმოცი თუმანი შესაწევნელად ნაკლუ-  
ნევანებისა თქვენისა. შენმა სიცოცხლემ, ერთის თვის  
ულცფა ჩემი კერძობისა ეს არის, რაც შენ და იულონს  
გამოვიგზავნეთ... რომ ერთს თვეში ერთი ფული არავის-  
თვის მიმიცია. მრავალ გვარად ვეცადე და ამაზედ მეტი  
ვერსაიდან რა მოვაგვარე. ჩენც დალრონი ხარჯები  
გვაქის; რომ ვალიც მრავალი მედება... სხვას გარდა მარ-  
ტო სუდაშვილის თუმნის შესა გვინდება თვეში... ამი-  
ამო, ვერსაიდამ რა ვიშოვნე, ისევ ჩემს კერძობას და  
ვაკელ და თქვენ გამოვიგზავნეთ“...

ამის შემდეგ დედოფალი თავის პირად ამბებზე მო-  
ლედ აუწებს საყვარელ შვილს:

„ვცხოვრობ ძალითა ღასათა, ჯერეთ მწუხარებისა  
შინა... და გთხოვ, რათა არა მომაკლდებოდეს სმენა ვი-  
სარებისა თქვენისა, რაცა უძირფასეს არს ჩემთვის.

„უგანათლებულესო მეფის ძეო, თქვენის ბედნიერე-

პითისა ხილვისა მოსურნე, საქართველოს დედოფალი — დედა თქვენი“.

ქვემდ დედოფალი ასეთივე სიყვარულით მოქითხას უძღვნის თავის რძალს ანას და შვილისშვილთ.

მეორე წერილი დაწერილია 22 — 5 — 1806 წ. ამ წერილიდან ვტკობილობთ, რომ დედოფლის ჯანმრთელობა ამ ხუთ თვეში ფრიად გაუარესებულა. „მინდოდა წიგნის მოწერა, მაგრამ სნეულებისაგან დრო არა მქონდა“—ო, სწერს დედოფალი, „ამას წინად ისე ავად ვიყავ, რომ რაღა მოგახსენო“... შემდეგ დედოფალი აუწყება, რომ თქვენს აქეთ გაღმოყვანას, როგორც გეთხოვათ, უერს ვეცადე, მაგრამ არა გამოვდა ჩაო... ღან ისე შენი გრძლად სიცოცხლე და ბეღნიერება ინებოს, როგორც გულითად მე მაგ საქმის აღსრულებას ვსცდილობდე, მაგრამ მეტად გვიან გამოდის პასუხიო. (იხ. სევდენია ოპამიატნიკახ.. გვ. 284 — 6). აღმართ ამ პასუხთა ლოდინმა დალია დედოფლის გული. უმაღლესი ხელმწიფე უმაღლესი კედელი იყო მოხუც დედოფლის წინ აღმართული და ეს კედელი ყრუ იყო.

ამის შემდეგ დედოფალს დიდ ხანს არ უციცხლია.

დედოფალ დარეჯანის გარდაცვალებაზე ჩვენ ძალიან ცოტა ცნობა მოგვაპოვება. ხელთა გვაქვს მხოლოდ ურთი წერილი, გამოგზავნილი პეტერბურგიდან, დედოცლის ერთ-ერთ მხლებელის მიერ, რომელიც მოკლედ ჯალწყებს დედოფლის მიცვალების ამბავს.

გაბრიელ ჭილაძე თბილისში, თათულის, ერეკლესა და გორგო მეფის სასახლის ექიმს სწერს:

„უფალმა მიგვიღო უკანასკნელი, უცხოებასა ამას შინა, ხუგეში და მოგვაკლო ჩვენ საზოგადოება დედასა და მფარველსა ჩვენსა, საქართველოს დედოფალს დარიას, სე ვითარსა ღვთაებრ მოწყალესა გვამსა, რომელიცა არა მხოლოდ ჩვენზედა, არამედ ყოველთა იწროებათა და ობელურებითა ბნელ მორტუმულთა ზედა მოჰყენდა । ხივთა ლმობიერთა და ხელის აპყრობასა მოწადეობდა...“

ცათ გახდა და 8 ნოემბერს მიიცვალა, ოშ, რა საცოდა-  
ზბა იყო იმისის შეიღებისა და იქ მყოფ ქართველთა —  
ჩამრთა და მდედრთა! ბატონიშვილები და ბატონის აძა-  
ლი ქეორგი (ალბათ იმანე ბატონიშვილის მეულლე, ზუ-  
რაბ წერეთლის ასული) და სხვანი ქართველნი, ყველანი  
სრულებით იქ ვახლდით. ოქვენ წარმოიდგინეთ, რა უამი  
შეუდგებოდათ იმის შეიღებას: ყოველი ჭირი გაუახლ-  
დათ... ძელმა და ახალმა იმათის მწუხარების ცეცხლმა  
აღგზნება დაიწყო და ჩვენც იმათის სპრალულის ცეც-  
ხლით ვიწოდით... ნევკის მონატერში დიდის დიდებით  
დავასაფლავეთ. განსვენებას დაესწრო თვით იმპერა-  
ტორი და დიდი ჯარი“.. (იხ. მ. ჯანაშვილის „საქართვე-  
ლო ისტორია“. გვ. 490).

რა იყო ეს ძელი ცეცხლი, „აღგზნება რომ დაიწყო“,  
და ყველა იქ დამსწრეთ „ძელი ჭირი გაუახლა“, ჩვენ  
კარგად ვციოთ: გარდვიდა ესეცა, უკანასკნელი აჩრდილი  
ცრესლეს ძელი დიდების ხანისა...

მეორე, უფრო მოკლე ცნობა დედოფლის გარდაც-  
კალების შესახებ, ჩვენი წარსულის უებარ მკლევარს,  
ხორი ბროსეს ეკუთვნის: ის გვაუწყება, რომ დედოფალი  
დარჯვანი 8 ნოემბერს, 1807 წელს, პეტერბურგში გარ-  
დაიცვალა და რუსეთის იმპერატორმა ის მეფურის ლირ-  
ცბით. ნევკის მონატერში, ხარების ეკლესიაში დააკრ-  
ძლიერინა (იხ. ბროსე, 2. გვ. 289). ისტორიკოსი გულის  
ტკივილით აღნიშნავს, რომ მას, რაღაც შეთხვევისა გამო,  
ჯამორჩენია დარეჯვან დედოფლის ეპიტაფია და თავის  
„აღწერებში“, (რომელიც დაბეჭდილია „მემუარ დე ლ,  
კადემი, 6 სერი, ტ. 4), არ შეუტანია.

სამწუხაროდ ამაზე მეტს ცნობას დედოფლის გარ-  
დაცალებაზე პრც ბატონიშვილი დავითის „ნარკვევებ“-  
ში ეხვდებით.

ბოლო: მოგვყავს მარი ბროსეს ცნობანი დარეჯვან  
დედოფლის ბეჭდების წარწერების შესახებ.

დედოფალს ორი ბეჭედი ჰქონია. ერთზე რომელიც

ამოქრილი იყო 1796 წ., სწერია: „დედოფალი დარეჯან“, რომ მეორეზე, რომელიც დედოფალმა უფრო აღრე — 1776 წელს ამოქრევინა, შემდეგი წერწერაა:

„ვინ არს მიზეზი არსთა მკობისა, მან მცა წიალი დედოფლობისა“. (იხ. „მონოგრაფი უეორეენ დე მოს-კუ“. ბეჭულეტენ 4. გვ. 299).

დასასრულ ვეინდა მკითხველს დედოფლის მხლებ-ლების ბედის შესახებ ერთი მცირე ცნობაც მივაწოდოთ.

დარეჯან დედოფლის მოლარე, მასურნი მარიამ და თამარ, მაისის 12-ს, 1812 წ. სტეფანე ყორლანაშვილს სწერენ, რომ ისინი, სხვა მხლებლებთან ერთად დედო-ფალ დარეჯანის გარდაცვალების შემდეგ, იმერეთის დე-კოფალს, ანას, თვის მზრუნველობაში აუყვანია — „ჩვენი ვითარება მოიხსენოთ: იმერეთის დედოფალ ან-ესათანა ვართ: თავის სახლში დაგვაყენა, შეშა და სახ-ლი უსაყვედუროთ გვაქვს და პატივსაც გვცემს და შემდ-ჯობი ღოთნ უწყის და ჩვენს სიცოცხლეს მოიხსენებ: ხანატრელის ჩვენის ხელმწიფის შემდგომად — რა სი-ცოცხლე გვექმნება? და ამ სწეულების გამოც რა მწუხა-რებაში ვიქმნებით“...

ამავე თარიღით სწერს სტ. ყორლანაშვილს დარეჯან დედოფლის დეკანზი ალექსიძე და აცნობებს, რომ ისიც დედოფალმა იმერეთისამ, ანამ, შეიხიზნა. დარეჯანის კოფილი დეკანზი დედოფლის დაკარგვის გამო მის წელებელთა გლოვას ასე აუწყებს ყორლანაშვილს: „მა-გათი მწუხარებისა აბა რაღა მოგახსენოთ“-ო. მას ამის ამოთქმაც კი უძნელდება. (იხ. „საქართველოს სიძველე-ები“, ტ. 3).

როგორც ვხედავთ, დედოფლის უანგარო სიყვარული გისმა ამალამ ბოლომდის შეინახა გაჭირვებაში და უც-წონბაში.

— \* —

## ჩემი გადლობა

ჩემი მიზანი, მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის ლირსეული ქართველი ქალები გამეცოცხლებინა და „დიდი სახემბი“-ს მეორე ტომიც იმ მოცულობით გამოცემულიყო, როგორც პირველი, სამწუხაროდ, მრავალგვარ დაბრკოლებას გარდაელობა... ამის გამო ჩემი ძეირფასის მეგობრის ვ. ნოზაძის რჩევას დავყე და მეორე წიგნის გამოცემის ცალკეულ რეცულებად შევუდეგ.

ამ პირველ რვეულში მოთავსებული ნარკვევი — „დარჩევან დედოფალი“ ამოღებულია უურნალიდან „მამული“ (ნომ. 1 და 2), ცოტაოდენი შესწორებით.

შემდეგ რვეულებში გვინდა მოვათავსოთ ჩვენი შრომა მარიამ დედოფალზე, იმერეთის უკანასკნელ დედოფალზე (მარიამ დადიანის ასული), სოფიო გურიელზე, ეკატერინა, ოდიშის დედოფალზე.

ეხლა, როცა ჩემი სათაყვანებელი ქართველი ქალების ლვაწლმოსილების შესახებ მეორე ტომის გამოცემას ვიწყებ, არ შემიძლია დავმალო, რომ უაღრეს ნეტარებას განვიცდი და ჩემს თავს ბედნიერად ვსთვლი, რომ მომეცა საშუალება ჩემის პატარა ძალით ვემსახურო ქართველ ქალთა შესანიშნავ დას.

მე ვიცი. რომ ეს მხოლოდ პირველი ცდებია, რომელსაც მრავალი ნაკლი თან დაჰყოლია; მაგრამ ვიღრე ჩვენი მკულევარნი ამ ქართველ ქალთა ლვაწლს საფუძვლიანად შეისწავლიდენ და ამ ხარვეზს მათი მეცნიერული გამოკვლევები ამოავსებდენ, მანამ მცირედი რამ მაინც გვინდოდა ალგვენიშნა ამ ქალთა წარსულიდან, რათა ამ ხელად ისინი დავიწყებას გადავვერჩინა.

არ შემიძლია ეხლა მაინც, როცა ჩემს თავზე ექვსმა ათეულმა, ეშირად ქარიშხლიანმა, წლებმა გარდაიარეს, მოწიწებით და დიდის პატივით თავი არ მოვიხარო იმ ლირსეული პიროვნების წინაშე, რომელ მაც პირველად გამიკვლია გზა და მიმიწოდა სამუშაოდ იქეთკენ, სადაც

ჩემს წინ გარდაიშალნენ წარმტაცი სახეები ქართველი ქალებისა.

— მინდა ეს ეპიზოდი გავიხსენო: — ჰალგაზრდურის გატაცებით ვიწყებ ქალთა საერთაშორისო მოძრაობის შესწავლას... ფინლანდიის ქალების მიერ ჭარჩევნი უფლების მოპოვებას დიდის ენტუზიაზმით მივევებები და იმაზე ცალკე საგაზეთო წერილს ვწერ. მორიდებით შევაღებ გაზეთის „ივმრისა“ კარებს... მისი რედაქტორი — ღინჯის, ჰქვიანის თვალებით ამხედ-დამხედვებს, ღიმილით დამსვამს, და მესაუბრება, ჩემს წერილს თვალს გადაავლებს; დასტამბვას აღმითქვამს, და ბოლოს მეტყვის:

— „ქალბატონო თამარ, აბა რად გინდათ მაინცა და მაინც ეს ფინეთის, ან ირლანდიის და სხვა შორეულ ქვეყნების ქალთა ღვაწლზე სწეროთ? განა ნაკლებ საინტერესო არიან ქართველი ქალები? მე ვიცა, რომ თქვენ გინდათ ქალთა საქმეს ემსახუროთ: — აიღთ და გადაიკითხეთ ქართველ ქალთა ღვაწლოსილების ამბები და თქვენც იქ განსაცვიფრებელ მასალას წააწყდებით! მადლანი შრომაა თქვენს წინ... იფიქრეთ ამაზე და ამ დიდ საქმეს ყურადღებით მოეკიდეთ“...

სიყვარულით გამომიწოდა ხელი და მოცინარის, ნათელის სახით გამომისტუმრა.

მოედიოდი ამ კაცისგან დარცხვენილი და ჩაფიქრებული, თოთქოს პირველად ეხლა მივხვდი, თუ რა დიდი საუნჯის წინ ვიდეს და თვალით კი ვერ მენახა ეს „აბლობელი“...

და მეც ამის შემდეგ, ამ მრავალ წელთა მანძილზე, მისი რჩევა სახელმძღვანელოდ გავიხადე და შევივარე.

მე არ ვიცი, ეს ჩემი ხმა მას თუ ოდესმე მისწედება, მაგრამ ჩემი წრფელი და დიდი მადლობა მინდა დღეს მას ვუძღვნა: — ჩემი ნათელი გზის მაჩვენებელს, პროფ. ფილიპე გოგიაშვილს...

ეს არის ჩემი წმიდა ვალი..

თამარ პაპავა

